



ნიუკონი ანდარიში

კანონის ეზენაციობა  
საგარეოსაობისათვის

2012

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ეკატერინე ფოფხაძე, ხათუნა ყვირალაშვილი  
დიზაინი: თეონა კერესელიძე

© 2012 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია



2 საქართველოს მолодые адвокаты  
Georgian Young Lawyers' Association GYLA 12

ნიკოლოზ ანდონიშვილი



British Embassy  
Tbilisi

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)



WESTMINSTER  
FOUNDATION FOR  
DEMOCRACY



USAID  
ამერიკული საბენეფიციალო



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
თბილისი და საქართველოს საკარისი

DEUTSCHE STIFTUNG FÜR  
INTERNATIONALE RECHTLICHE  
ZUSAMMENARBEIT E.V.



NATIONAL  
DEMOCRATIC  
INSTITUTE



National Endowment  
for Democracy  
*Supporting freedom around the world*

EUROPEAN HUMAN RIGHTS ADVOCACY CENTRE  
EHRAC

RUSSIAN JUSTICE INITIATIVE

DANISH  
REFUGEE  
COUNCIL



აშშ-ის საელჩოს საქართველოში  
The U.S. Embassy in Georgia

# სარჩვი

ნინებითურგაობა	4
ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ღისკრინიციის გარეშე	7
იურიდიული კონსულტაციები და სამართლებრივი დოკუმენტები	9
საადვოკატო მომსახურება	11
ნარმატებები საქმეები	12
სტრატეგიული სამართლებრმოება ადამიანის უფლებათა ეპროცეს სასამართლოში	16
სტრატეგიული სამართლებრმოება საკონსტიტუციო სასამართლოში	21
სტრატეგიული სამართლებრმოება ინფორმაციის თავისეფლებასთან დაკავშირებით	25
სტრატეგიული სამართლებრმოება კართული მედიის სამართლებრივი დაცვის ზენტრის ფარგლებში	27
იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამართლებრივი დახმარება	30
საჯელალსრულების დანესხალებაში განთავსებული კატიონებისათვის განვილი დახმარება	30
<b>საზოგადოებრივი სამართლებრივი სწორიერების ამაღლება და კანონისამი კატივისშემის დამკიდრება</b>	33
საინფორმაციო სემინარები, შეხვედრები რეგიონებში, კვერ-ტურები	34
იძულებით გადაადგილებულ პირთა სწორიერების ამაღლება	40
ჯანდაცვის უფლება	40
შურნალისტთა სწორიერების ამაღლება და საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ზენტრის პოვულარიზაცია	41
აქციები	42
მედია მონიტორინგი	44
<b>ცეკვითანი, ანგარიშვალლებული და გამჭვირვალი მართვილობის ხელშეწყობა</b>	45
კვლევები	46
საიას მონიტორინგი საკანონმდებლო პროცესში	49
საიას საქმიანობა საარჩევო გარემოს გაუმჯობესების მიზნით	52
სასამართლოს დამოუკიდებლობრივია და მიუკრძობლობის ხელშეწყობა საკანონი	56
<b>კვალიფიციური, უცყვატი იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება</b>	59
ფონდის სასრულო კურსები	60
საჯარო დისკუსიები	63
სემინარები და ტრენინგები	64
იურიდიული განათლების თანამედროვე სტანდარტების დამკიდრების ხელშეწყობა	65
სტაურიება იურიდიული დახმარების ზენტრებში	68
<b>ფინანსური ანგარიში</b>	69

ავირფასო ნევრებო,  
კოლეგიბო, მეზობებო,



მაქვს პატივი, კიდევ ერთხელ მოგმართოთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის  
თავმჯდომარის სტატუსით და მოგილოცოთ საიას საქმიანობის მე-18 წლის შეჯამება.

ხილათებით და სირთულეებით აღსავსე ერთი წელი განვვლეთ ქართულ საზოგადოებასთან ერთად. 2012 წელი იმითაც იყო გამორჩეული, რომ, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, ხელისუფლება დემოკრატიული არჩევნების გზით შეიცვალა და, ცხადია, აღნიშნული მოვლენა თავის ღირებულებას არასოდეს დაკარგავს. გვქონდა პატივი, ვყოფილიყავით ამ პროცესების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე, როგორც დამკვირვებელი და უფლებადამცველი ორგანიზაცია. ჩემთვის საამაყოა, რომ ამ ურთულეს პერიოდში შევძელით მთავარი – ვყოფილიყავით მიუკერძოებელნი, ობიექტურნი და პროფესიონალები ჩვენს საქმეში. საპასუხოდ, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან მივიღეთ უდიდესი ნდობა და მხარდაჭერა.

დიდი იყო ინტერესი მედიის მხრიდანაც. საიას წარმომადგენლები ყოველდღიურად, ხან დღეში რამ-დენჯერმე, ჩნდებოდნენ არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ მაღალეიტინგულ საერთაშორისო პრესასა თუ სხვა მედია საშუალებებში. ვთიქრობ, ეს სწორედ უდიდესი საზოგადოებრივი ინტერესითა და ნდობით იყო გამოწვეული.

მთელი წლის განმავლობაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ცდილობდა, არ ყოფილიყო იზოლირებული დანარჩენი არასამთავრობო სექტორისგან, არამედ პირიქით, ჩვენს მეგობრებთან და პარტნიორებთან ერთად, საერთო ძალისხმევით მოგვეთხოვა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის აუკილებელი ცვლილებები. სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაციისა და ურთიერთანანმშრომლობის წარმატების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია უკიდურესად პრობლემურ კანონმდებლობაში საზოგადოებისთვის სასარგებლო ცვლილებების შეტანა, მათ შორის, ყველასთვის კარგად ნაცნობი Must Carry - Must Offer პრინციპების ამოქმედება წინასაარჩევნო პე-

რიოდში, რამაც უდავოდ დიდი გავლენა იქონია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ალარაფერს ვამბობ იმ ყოველდღიურ თავდადებასა და წარმოუდგენელ შრომაზე, რომელიც საიას თანამშრომლებმა ათასობით ადამიანის დასახმარებლად განიეს. ამ ანგარიშში თქვენ შეძლებთ, აღნიშნულ საქმიანობას დეტალურად გაეცნოთ.

ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე ჩვენ ახალი შესაძლებლობებისა და გამოწვევების წინაშე დავდექით. ერთი მხრივ, ვხედავთ ხელისუფლების მზაობას, იყოს ჩართულობაზე ორიენტირებული და სიურთხილით მოეპყრას სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებებს, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, ის ცოდნა და გამოცდილება, რაც საიას წლების განმავლობაში დაუგროვდა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ქვეყნის სწორი მიმართულებით განვითარებისთვის. მეორე მხრივ, ჩვენ ყოველთვის ვიყავით და ვრჩებით „მოდარაჯე“ ფუნქციის მატარებლად. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა მაქსიმალურად გამოვიყენოთ გახსნილი შესაძლებლობები და როგორც ჩვენი რჩევებით, ისე ჯანსაღი კრიტიკით შევიტანოთ წვლილი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასა და ადამიანის უფლებების დაცვაში.

დასასრულ, ჩემს კოლეგებს, თანამშრომლებს, პარტნიორ ორგანიზაციებს და ყველა იმ ადამიანს, ვისთან ერთადაც განვვლეთ 2012 წელი, მინდა უდიდესი მადლობა ვუთხრა მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. დარწმუნებული ვარ, წინ კიდევ უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი პროცესები გველოდება. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ახალ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს სათანადოდ შემზადებული, განახლებული ენერგიითა და ტრადიციული თავდადებით შეხვდება.

პატივისცემით,

თამარ ჩუგოშვილი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე



## საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მისის განაცხადი

2010 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საერთო კრებამ დაამტკიცა 2011-2014 წლების სტრატეგია და მომავალი 4 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ორგანიზაცია განაგრძობს საქმიანობას საწესდებო მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად.

წესდებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თბილისისადა 7 რევიონული ოფისის მიერ განხორციელებული საქმიანობის 2012 წლის ანგარიშს (საანგარიშო პერიოდი 2011 წლის 1 ოქტომბერი – 2012 წლის 1 ნოემბერი).



ანგარიშის სტრუქტურა, გასული წლების მსგავსად, 4 სტრატეგიულ ამოცანას ეფუძნება:

1. ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების გაცითარება და ხელისაწვდომობის უზრუნველყოფა დისპრიტინგის გარეშე
2. საზოგადოებრივ სამართლებრივი სოობირების ამაღლება და კანონისამი კატივისხევის დამკიდევრება
3. ეფექტური, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მართვისა და ხელშეწყობა
4. კვალიფიცირი, უცველი იურიდიული განათლება და პროფესიის გაცითარება

ჩვენი დევიზი

### კანონის უზრუნველყოფა სამართლისამობისათვის





**ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების  
მანვითარება და ხელმისაწვდომობის ეზრუნველყოფა  
ესპრიტის გარეშე**

## ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მისამიზანობის განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე

ადამიანის უფლებების დაცვა საიას უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანაა, რომელსაც ორგანიზაცია დაფუძნების დღიდან ახორციელებს. საია, თბილისისა და 7 რეგიონული ოფისის მეშვეობით, ყოველწლიურად ათასობით ადამიანს უწევს უფასო იურიდიულ დახმარებას. ორგანიზაცია, საკუთარი სტრატეგიისა და პროექტებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ბენეფიციართა ისეთ ჯადობზე, როგორიცაა დევნილები, სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, არასრულწლოვნები, უურნალისტები, ხანდაზმულები, პატიმრები და ა.შ. ანუ საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც უფასო იურიდიული დახმარება ყველაზე მეტად სჭირდება. საიაში შეზღუდული არ არის საკონსულტაციო თემატიკა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე შეუძლია უფასო იურიდიული კონსულტაციის მიღება.




საიას თბილისისა და 7 რეგიონული ოფისის მიერ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჯამში გაიცა 110418 იურიდიული კონსულტაცია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, როგორც უფლებადამცველი ორგანიზაციის, იურიდიული დახმარებების ტემატიკასა და სტატისტიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქნია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, კერძოდ, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა და ნინასაარჩევნო პერიოდმა, რომელიც უკიდურესი დაძაბულობით გამოირჩეოდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ლირსია პროცესები, რომლებიც უკავშირდებოდა, მაგალითად: საქართველოს კონტროლის პალატის მიერ პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებით მოქალაქეთა მასობრივ დაბარებებსა და მათთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმებას; არაკომიტული იურიდიული პირის (ფონდი) „ქომაგის“ ბენეფიციარების დაკითხვებს; ნინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და სამოქალაქო თუ პოზიციური პარტიების აქტივისტებისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების გახშირებულ შემთხვევებს.

აღნიშნულ მოვლენებს თან ახლდა ძალიან ბევრი ხარვეზი და სხვადასხვა პროცესუალური თუ მატერიალური ნორმის უხეში დარღვევა. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საიას თბილისისა და რეგიონების იურიდიული დახმარების ცენტრების ადვოკატებს 24 საათიან რეჟიმში უწევდათ მუშაობა.


**კონსულტაციების  
საერთო ჯამი 110418**




- საქართველოს მთავრობის მიერ მოქალაქეთა მასობრივ დაბარებისათვის დაკავშირებით მოქალაქეთა მასობრივ დაბარებებსა და მათთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმებას; არაკომიტული იურიდიული პირის (ფონდი) „ქომაგის“ ბენეფიციარების დაკითხვებს; ნინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და სამოქალაქო თუ პოზიციური პარტიების აქტივისტებისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების გახშირებულ შემთხვევებს.
- გასამართლებრივი მისამართის მიერ მოქალაქეთა მასობრივ დაბარებისათვის დაკავშირებით მოქალაქეთა მასობრივ დაბარებებსა და მათთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმებას; არაკომიტული იურიდიული პირის (ფონდი) „ქომაგის“ ბენეფიციარების დაკითხვებს; ნინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და სამოქალაქო თუ პოზიციური პარტიების აქტივისტებისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების გახშირებულ შემთხვევებს.
- პარლამენტის მიერ მოქალაქეთა მასობრივ დაბარებისათვის დაკავშირებით მოქალაქეთა მასობრივ დაბარებებსა და მათთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმებას; არაკომიტული იურიდიული პირის (ფონდი) „ქომაგის“ ბენეფიციარების დაკითხვებს; ნინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და სამოქალაქო თუ პოზიციური პარტიების აქტივისტებისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების გახშირებულ შემთხვევებს.
- სამართლებრივი დოკუმენტები

## იურიდიული კონსულტაციები და სამართლებრივი დოკუმენტები

საიას თბილისის ოფისის იურიდიული დახმარების ცენტრის მიერ გაიცა სულ **45852** სამართლებრივი კონსულტაცია, ხოლო მოქალაქეებისთვის შედგენილ იქნა **2247** სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტი.



### კონსულტაციები თემატიკის მიხედვით



საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საიას რეგიონული ოფისები, გასული წლების მსგავსად, კვლავაც განაგრძობდნენ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების განევას. რეგიონული ოფისების მიხედვით, ბენეფიციარებისათვის განეული იურიდიული დახმარების სტატისტიკა ასეთია:

რეგიონული ოფისები	სატელეფონო კონსულტაციები	პირადი კონსულტაციები	გავლითი კონსულტაციები	მედია კონსულტაციები	სულ
ქუთაისი	4746	11439	1203	150	17538
გორი	1536	12157	2709	437	16839
რუსთავი	1820	2357	462	70	4709
ოზურგეთი	324	3651	949	112	5036
თელავი	303	2067	247	8	2625
აჭარა	3411	9259	1459	394	14523
დუშეთი	495	1726	992	83	3296

საიას რეგიონული ოფისების მიერ საანგარიშო პერიოდში სულ 64566 კონსულტაცია გაიცა.

#### სამართლებრივი დოკუმენტები

რეგიონული ოფისები	აჭარა	ქუთაისი	გორი	რუსთავი	ოზურგეთი	თელავი	დუშეთი	სულ
დოკუმენტი	6228	843	1338	540	628	208	234	10019

საიას მიერ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე, დაკმაყოფილდა:

- 88 სარჩელი – პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ;
- 526 სარჩელი – რეპრესირებულთათვის ფულადი კომპენსაციის ანაზღაურების შესახებ;
- 95 განცხადება – პირის ქმედულნაროდ აღიარების შესახებ. მათ დაენიშნათ მეურვეები და შეძლეს პენსიის მიღება;
- 29 ადმინისტრაციული სარჩელი – შრომის სტაჟის დადგენის თაობაზე;
- 118 ბავშვს დაენიშნა აღიმენტი;
- ნლობით აუდებელი სახელფასო დავალიანება აუნაზღაურდა 29 მოქალაქეს;
- მამობა დაუდგინდა 31 ბავშვს;

- 32 მოქალაქეს, რომელმაც განცხადებით მიმართეს სოციალური მომსახურების სააგენტოს ოჯახის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების თაობაზე, დაუკმაყოფილდა განცხადება;
- დაკმაყოფილდა 406 განცხადება უფლების დამდგენი საბუთის – კუთვნილების ფაქტის დადგენის თაობაზე. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტები არსებული უზუსტობების გამო, მოქალაქეები ვერ ახერხებდნენ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციას, მემკვიდრეობისა და კუთვნილი საპენსიო დანამატის მიღებას. საიას დახმარებით, მოქალაქეებმა დაირეგისტრირეს უძრავი ქონება საჯარო რეესტრში, შეძლეს მემკვიდრეობის მოწმობის აღება და დაენიშნათ სახელმწიფო პენსიაზე შრომის სტაუის დანამატი.

## საადვოკატო მომსახურება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საიას იურიდიული დახმარების ცენტრები, დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კვლავაც ახორციელებდნენ უფასო საადვოკატო მომსახურებას სოციალურად დაუცველი მომსახლეობისთვის.

საანგარიშო პერიოდში საიას თბილისის ოფისში ანარმოვა 29 სამოქალაქო, 67 ადმინისტრაციული და 42 სისხლის სამართლის საქმე. ამჟამად თბილისის იურიდიული დამარების ცენტრის წარმოებაშია:



- 49 – ადმინისტრაციული სამართლის საქმე
- 15 – სამოქალაქო სამართლის საქმე
- 17 – სისხლის სამართლის საქმე

**ჩარგოვალებელობა სასამართლოში და აღმინისტრაციული ორგანიზაციების წინაშე**  
(რეგიონული ოფისების მონაცემები)

რეგიონული ოფისები	გო	ეზო- გები	ივნი	იუნი	ივნისათვე	აგვ	ივნი	ივნი	ენ
საქმეების საერთო რაოდენობა	129	33	21	80	12	71	6	352	
ადმინისტრაციული სამართალი	33	21	6	27	5	24	0	116	
სისხლის სამართალი	26	11	6	15	3	9	6	76	
სამოქალაქო სამართალი	70	1	9	38	4	38	0	160	
წარმატებული საქმეები	69	5	3	43	7	36	5	168	

## ნარმატებული საქმეები

ნინა წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც სასამართლოში ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე წარმატების მიღწევაც კვლავაც რთულ ამოცანად ჩატარდა. სამწუხაროდ, ძალიან ხშირად, სასამართლო ყურადღებას არ აქცევდა არ მხოლოდ საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს, არამედ უხეშად არღვევდა პროცესუალური სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებს. არ ხდებოდა დაცვის უფლების სათანადო უზრუნველყოფა. კვლავაც დასაბუთებული პრეტენზიები არსებობს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნულის მიუხედავად, საიას ადვოკატებმა მაინც მოახერხეს გარკვეულ საქმეებზე წარმატების მიღწევა.

**საანგარიშო პერიოდში საიას თბილისისა და რეგიონული ოფისების ადვოკატების აქტიურობის შედეგად, წარმატებით დასრულდა სულ 206 საადვოკატო საქმე. საილუსტრაციოდ, წარმოგიდგენთ ამ საქმეების ნაწილს.**

### ადმინისტრაციული სამართლი

- საიას თბილისის ოფისის საადვოკატო დახმარების შედეგად, შემ პირი მ.გ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ არ იქნა დაჯარიმებული და არ განხორციელდა მისი შენობა-ნაგებობის დემონტაჟი.
- საიას თბილისის ოფისი საადვოკატო დახმარებას უწევდა მოქალაქე 6.მ-ს. სასამართლომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, 6.მ-სთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით, 52966 ლარის გადახდა დაკავშირდა.
- საიას თბილისის ოფისის საადვოკატო დახმარების შედეგად, სასამართლომ ბათილად ცნო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა ინდ. მენარმე მ.ფ. სალარო აპარატის გამოუყენებლობის მოტივით 400 ლარით დაჯარიმა.
- საიას თბილისის ოფისის საადვოკატო დახმარების შედეგად, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს მოქალაქე ი.დ-ს სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზიანის ანაზღაურება 892 ლარის ოდენობით. ასევე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს აეკრძალა ი.დ-სთვის საქართველოს საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვა.
- საიას თბილისის ოფისის დახმარებით, პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები – ზ.გ. და ნ.რ. – რომლებსაც საგარეჯოს რაიონული სასამართლოს მიერ შეფარდებული პქონდათ ადმინისტრაციული პატიმრობა 40 დღის ვადით, სააპელაციო სასამართლოს დადგენილებით გათავისუფლდნენ სასამართლო დარბაზიდან (სასამართლომ შეუმცირა სახდელის ზომა).
- საიას თბილისის ოფისის დახმარებით, გაუქმდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის აქტები, რომლებითაც 79 წლის ქალბატონ მ.კ-ს უკანონოდ ჰქონდა დაკისრებული 700 ლარიანი ჯარიმისა და 500 ლარიანი საურავის გადახდა.
- საიას ოზურგეთის ოფისის იურისტების მიერ სასამართლოში სარჩელის შეტანისა და აქტიურობის შედეგად, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საკრებულოს თავმჯდომარეთა მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებდა წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოში მოქალაქეთა მიღება-გადაადგილების წესს და უკანონოდ ზღუდვები მათ თავისუფალ გადაადგილებას.
- ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ა.ჩ-ს ადმინისტრაციული სარჩელი სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონული განყოფილების მიმართ. ა.ჩ-ს დაუდგინდა შრომის 34 წლიანი სტაჟი და მის სასარგებლობ მოხდა კანონით გათვალისწინებული ასაკის პენსიისა და საპენსიო დანამატის გაცემა.

- საიას აჭარის ფილიალმა საადვოკატო მომსახურება გაუნდა გ.ჯ-ს, რომლის კუთვნილი მიწის ნაკვეთები ქობულეთის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ ჯერ აღიარა საკუთრებად, ხოლო შემდეგ ბათილად ცნო მის მიერვე გაცემული საკუთრების მოწმობები. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სრულად დაკმაყოფილდა გ.ჯ-ს სარჩელი – სასამართლომ ბათილად ცნო ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სადაცვო გადაწყვეტილება.
- საიას გორის ოფისის დახმარებით, დევნილებს შ.ბ-ს და მ.ბ-ს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ არ ჩამოართვა საცხოვრებელი კოტეჯი.
- საიას რუსთავის ოფისის დახმარებით, დაკმაყოფილდა ვ.ი-ს ადმინისტრაციული საჩივარი და მას, სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელის ბრძანებით, აუნაზღაურდა უკანონოდ შეჩერებული საარსებო შემწეობა, რაც მთლიანობაში შეადგენდა 840 ლარს.
- საიას ღუშეთის ოფისის დახმარებით, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დააკმაყოფილა მოქალაქეების მ.გ-ს, ვ.კ-ს, რ.ზ-ს, გ.ს-ს და ტ.ს-ს ადმინისტრაციული საჩივარი ღუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. სააგენტომ მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა აღიარა მარეგისტრირებელ დოკუმენტად, რის შედეგადაც ხსენებულმა მოქალაქეებმა შეძლეს საჯარო რეესტრში უძრავი ქონების დარეგისტრირება საკუთრების უფლებით.
- საიას ქუთაისის ფილიალის დახმარებით, სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის რეგიონულმა საკონდინაციო ცენტრმა დააკმაყოფილა მ.ჭ-ს და მ.ჩ-ს განცხადება მათი ოჯახების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შემოწმების თაობაზე. შედეგად, მათ ოჯახებს დაუდგინდა დაბალი სარეიტინგო ქულა და დაენიშნათ საარსებო შემნეობა.
- საიას გორის ოფისის დახმარებით, სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ 5 ოჯახს დაენიშნა საარსებო შემწეობა და შესაძლებლობა მიეცა, ისარგებლონ სახელმწიფო ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისით.

## სამოქალაქო სამართლი

- საიას თბილისის ოფისი საადვოკატო დახმარებას უწევდა სამი შვილის დედას ი.მ-ს, რომლის სარჩელიც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. იგი ცნობილი იქნა უძრავ-მოძრავი ქონების თანამე-საკუთრედ. ქორწინების შეწყვეტასთან ერთად, მხარეებს შორის დამტკიცდა მორიგება, რომლითაც მოპასუხემ იყისრა ვალდებულება, თავად გადაიხადოს სამივე შვილის კერძო სკოლაში სწავლის ღირებულება და გადაიხადოს ალიმენტი ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობით.
- საიას თბილისის ოფისი საადვოკატო დახმარებას უწევდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომლის სარჩელიც ეხებოდა ზიანის მიმყენებელი პირისათვის პროტეზირების ხარჯების დაკისრებას. სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს დაეკისრა 26 952.55 ევროს ანაზღაურება.
- საიას თბილისის ოფისის საადვოკატო დახმარების შედეგად, მოქალაქე ნ.ბ. აღდგენილ იქნა სამსახურში დაკავებულ თანამდებობაზე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ასევე, მოწინააღმდეგე მხარეს, ნ.ბ-ს სასარგებლოდ, იძულებითი განაცდურის სახით დაეკისრა 1411 ლარის გადახდა.
- საიას თბილისის ოფისის საადვოკატო დახმარების შედეგად, სტუდენტები ი. მ. და ქ. მ. აღდგენილ იქნენ უმაღლესი სასწავლებლის მესამე კურსზე. ამასთან, მათ მიმართ სწავლის საფასურად, ნაცვლად მიმდინარე სწავლის საფასურისა (რაც შეადგენს წელიწადში 2700 ლარს), განისაზღვრა 1500 ლარი.
- საიას თბილისის ოფისის საადვოკატო დახმარების შედეგად, მოქალაქე ქ.ო-ს გათავისუფლებას „პრივატ ბანკიდან“ უზენაესმა სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია და დამსაქმებელ ბანკს, მოქალაქის სასარგებლოდ, განაცდურის სახით 27 000 ლარის გადახდა დაეკისრა.

- საიას თბილისის ოფისის დახმარებით, ჯ.მ-ს მოძრავი ქონება სასამართლომ ყადაღისაგან გაათავისუფლა.
- საიას ქუთაისის ფილიალის დახმარებით, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზღვეულ ჯ.ზ-ს, რომელმაც ავტოავარიის შედეგად მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, აუნაზღაურდა გადაუდებელი ოპერაციის ხარჯები. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სადაზღვევო კომიცანი „ალფას“, რომელმაც უარი განუცხადა დაზღვეულს მეურნალობის ხარჯების ანაზღაურებაზე, ჯ.ზ-ს სასარგებლოდ 3912 ლარის გადახდა დაეკისრა.
- საიას აჭარის ფილიალის ადვოკატები სასამართლოში იცავდნენ მოქალაქეთა ინტერესებს (სულ 23 პირი), რომელიც ჩარიცხულ იქნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მავრამ სწავლის საფასურის გადახდის შეუძლებლობის გამო, სასწავლო წლის დაწყებისთანავე უარი განაცხადეს სწავლის გაგრძელებაზე. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტმა სარჩელი აღმრა და მოითხოვა მათვის სწავლის გადასახადის დაკისრება. როგორც ბათუმის საქალაქო, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.
- საიას გორის ოფისის დახმარებით, არასრულნლოვან ა.ვ-ს დედას – რ.ხ-ს, ბავშვის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის გამო, სასამართლო გადაწყვეტილებით, შეეზღუდა მშობლის უფლება-ნარმომადგენლობითი უფლებამოსილება. მასვე, არასრულნლოვანი შვილის სასარგებლოდ, დაეკისრა ალიმენტის გადახდა – ყოველთვიურად 80 ლარის ოდენობით.
- საიას რუსთავის ოფისის დახმარებით, რუსთავის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მარტოხელა პენსიონერის, სოციალურად დაუცველი ლ.ჩ-ს სარჩელი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. მას საკუთრებაში დაუბრუნდა თავისივე საცხოვრებელი ბინა.
- საიას რუსთავის ოფისის დახმარებით, რუსთავის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა უურნალისტების ნ.ნ-ს, გ.ბ-ს, მ.ჯ-ს, ი.გ-ს, ნ.ა-ს, მ.ლ-ს სარჩელი და მოპასუხე „რუსთავის ამბებს“ მათ სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი ხელფასის – 4000 ლარის ანაზღაურება.

#### სისხლის სამართლი

- მოქალაქე ე.კ-ს ბრალი წარედგინა სსსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (დოკუმენტის გაყალბება) და, ასევე, 180-ე მუხლის (თაღლითობა) პირველი ნაწილით. საიას თბილისის ოფისის მიერ გაწეული საადვოკატო დახმარების შედეგად, წარდგენილ ბრალდებებში იგი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.
- საიას თბილისის ოფისი საადვოკატო დახმარებას უწევდა მოქალაქე მ.ი-ს, რომელსაც შეფარდებული ჰქონდა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა. ჩვენ მიერ პრეზიდენტის სახელზე წარდგენილ იქნა შეწყალების შუამდგომლობა, რაც დაკმაყოფილდა და მ.ი. გათავისუფლდა საჯელალსრულების დაწესებულებიდან.
- გ.ქ. ცნობილ იქნა ბრალდებულად სსსკ-ის 177-ე მუხლით (ქურდობა). მოგვიანებით, წარედგინა ბრალდება სსკ-ის 273-ე მუხლით (პირადი მოხმარებისათვის წარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ღია მოხმარება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონობის მოხმარება). საიას დახმარებით, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და გ.ქ-ს სასჯელის სახით განესაზღვრა 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა (ორივე მუხლისთვის).
- თ.ჯ. დაკავებულ იქნა სსსკ-ს 117-ე მუხლის 11 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე (ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია). საიას წარმომადგენელი შეხვდა დაკავებულს და მიიღო მონაწილეობა მის დაკითხვაში. დაკითხვის შემდგომ თ.ჯ-ს ბრალი აღარ წაუყენეს და გაათავისუფლეს დროებითი მოთავსების იზოლატორიდან.

- საიას დუშეთის ოფისის დახმარებით, თ.პ. რომელსაც ბრალი ედებოდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” და “ბ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით), მცხეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გამამართლებელი განაჩენით ცნობილ იქნა უდანაშაულოდ. გაუქმდა მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება და დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.
- საიას დუშეთის ოფისის დახმარებით, ა.კ. რომელსაც ბრალი ედებოდა საქართველოს სსკ-ის 386-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” და “ბ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (სამხედრო მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულების წესის დარღვევა, რასაც თან ახლდა დაზარალებულის პატივისა და ღირსების დამცირება), თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გამამართლებელი განაჩენით ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.
- საიას ქუთაისის ფილიალის დახმარებით, ქუთაისის პროკურატურამ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, იძულებით გადაადგილებული პირი, არასრულნლოვანი ლ.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” ქვეპუნქტით (ქურდობა, ჩადენილი სადგომში უკანონო შეღწევით) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად. მას გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი.
- არასრულნლოვან გ.ხ-ს, რომელიც თელავის რაიონული სასამართლოს მიერ მსჯავრდებული იყო სსკ-ის 177-ე მუხლით (ქურდობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, სასჯელის სახედ შეეფარდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. პრობაციის ბიუროსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა გ.ხ-ს დასაქმების თაობაზე, რის გამოც პრობაციის ბიურო აპირებდა, სასამართლოსათვის მიემართა შუამდგომლობით და გ.ხ-სთვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეეცვალა პატიმრობით. საიას თელავის ოფისის ჩარევით, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება და პრობაციონერი გ.ხ. დაასაქმა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის დასუფთავების სამსახურში. შესაბამისად, პრობაციის ბიუროს აღარ მიუმართავს სასამართლოსათვის ზემოაღნიშული შუამდგომლობით.
- საიას რუსთავის ოფისის დახმარებით მსჯავრდებულები ვ.ს, მ.მ, და ჯ.ჟ. რუსთავის №6 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სამედიცინო გამოკვლევების ჩასატარებლად და სამკურნალოდ გადაყვანილ იქნენ №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში.
- მოქალაქე რ.შ-ს, რომელსაც ბრალი ედებოდა მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევ არაერთგზის ჩადენილ ქურდობაში, საიას აჭარის ფილიალის დახმარებით, ჩაუტარდა ფსიქიატრიული ექსპერტიზა, დაუდგინდა დიაგნოზი – პარანოიაული შიზოფრენია, რის საფუძველზეც მის მიმართ შეწყდა გამოძიება და სისხლისამართლებრივი დევნა, გაუქმდა შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა და სამკურნალოდ მოთავსდა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში.

## სტრატეგიული საქართველოს აღმართობაში უფლებათა ევროკაულ სასამართლოში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კვ-ლავ აქტუალური და პრობლემატური რჩება საკუთრების უფლების დარღვევის შემთხვევები, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, გამოხატვის თავისუფლება ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების კუთხით და სამართლიანი სასამართლოს უფლება. ეს უკანასკნელი კვ-ლავ ყველაზე ხმირად დარღვევადი უფლებაა საქართველოში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის პროცედურებსა და ევროპული კონვენციის ცალკეული მუხლების დარღვევებთან დაკავშირებით, საიმ კონსულტაცია გაუწია 203 მოქალაქეს. ევროპის სასამართლოში საიას მიერ შეტანილ იქნა 14 განაცხადი.



### 1. ძებნისარი საქართველოს ნინააღმდეგ (საქმე №67813/11)

საქმე შეეხება საექიმო შეცდომის შედეგად გარდაცვლილი გიორგი ძებნიაურის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტს. მიუხედავად იმისა, რომ გ. ძებნიაურის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება დროულად დაიწყო, მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები, რომლებზეც ზემდგომი პროკურორის წერილობითი მითითებები და დაზარალებულის არა ერთი შუამდგომლობა არსებობდა, ნლების მანძილზე არ ჩატარებულა. 6 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, საქმეზე არ იქნა მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება, ისე, რომ გავიდა სისხლის სამართლის დანაშაულის ხანდაზმულობის კანონით დადგენილი ვადა.

ევროპულ სასამართლოში სარჩელი შეტანილია კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) და სახელმწიფოს მიერ ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულების დარღვევის გამო.

### 2. დუბამი და სხვები საქართველოს ნინააღმდეგ (საქმე №74113/11)

საქმე შეეხება 2011 წლის 26 მაისს სამართალდამცავების მიერ მშვიდობიანი საპროტესტო აქციის ძალისმიერი მეთოდებით დაშლას, გადამეტებული, არასაჭირო და არაპროპორციული ძალის გამოყენებას აქციის მონაწილეების მიმართ, რის შედეგადაც აქციის არაერთმა მონაწილემ, მათ შორის, განმცხადებლებმა მიიღეს სხეულის სხვადასხვა ფორმის და სიმძიმის დაზიანებები.

არაადამიანური და ღირსების შემღავეველი მოპყრობის გარდა, განმცხადებლები დავობენ, რომ მათი დაკავება და შემდგომ სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება იყო უკანონო, ვინაიდან მათ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას ადგილი არ ჰქონია.

ევროპულ სასამართლოში საქმე გაიგზავნა კონვენციის მე-3 (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), მე-5 (პირადი უსაფრთხოება და ხელშეუხებლობა), მე-6 (სამართლიანი სასამართლოს უფლება), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) და მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) მუხლების დარღვევის შესახებ.

### 3. ზურაშვილი საქართველოს ნინეალმდებარებულის განხილვის შედეგი

საქმე 2011 წლის 26 მაისს პოლიციის მიერ საპროტესტო აქციის დაშლის მოვლენებს უკავშირდება. აქციის დაშლის დროს, განმცხადებელი შ. ზურაშვილი მართავდა იმ ავტომანქანას, რომელშიც აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე იჯდა და რომელმაც აქციის ორგანიზატორებისა და მონაწილეების კუთვნილ სხვა ავტომანქანებთან ერთად დატოვა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია.

საწყის ეტაპზე გამოძიება განმცხადებელს ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ერთ-ერთი პოლიციელის ვ.მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფას ედავებოდა. აღნიშნული დანაშაულის აღიარების მოთხოვნით, სამართალდამცავმა პირებმა დაკავების დროს და, შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოშიც განმცხადებელი სასტიკად სცემეს. ეს ბრალდება განმცხადებელს არ დაუდგინდა. საბოლოოდ, მას ბრალად დაედო პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ერთ-ერთი პოლიციელის ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება.

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ განაცხადში ვამტკიცებთ, რომ, დაკავების დროს პოლიციის მიერ განმცხადებლის სასტიკა ცემისა და ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, ადგილი აქცის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. ამასთან, განმცხადებლის მიმართ წარდგენილი ბრალდებები დაუსაბუთებელია, რადგან მის ქმედებაში არ ყოფილა პოლიციის თანამშრომლისთვის წინააღმდეგობის განვითარების აუცილებელი დანაშაულის ნიშნები და ეროვნულმა სასამართლოებმა ის ერთი და იგივე ქმედებისთვის ორმაგად დასაჯეს, რითაც დაარღვიეს კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლით დაცული *non bis in idem* მოთხოვნა. ამასთან, საქმის განხილვა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაცული საპროცესო მოთხოვნების (უდანაშაულობის პრეზუმუცია, გამოძიების მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, მხარეთა თანასწორობა, უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე) არსებითი დარღვევით განხორციელდა, რამაც, მთლიანობაში, პროცესის უსამართლობა განაპირობა.

### 4. საის საქართველოს ნინეალმდებარებულის განხილვი (საქმე №2703/12)

საქმე შეეხება მაღლალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე საქართველოს შინაგან საქმე-თა სამინისტროს და, შემდგომ, ეროვნული სასამართლოების მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას, რაც, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას წარმოადგენს.

აღნიშნულ საქმეში, საია შსს-დან ითხოვდა ინფორმაციას იმ პირთა შესახებ, ვინც დისციპლინურ პასუხისმგებაში მიეცა 2009 წლის 15 ივნისს თბილისში, შს მთავარ სამმართველოსთან მშვიდობიანი აქციის დაშლის დროს ჩადენილი კანონდარღვევებისათვის. სამინისტროს ოფიციალური განცხადებით, 15 ივნისს ჩადენილი დარღვევებისათვის ცხრა თანამშრომელი მიეცა პასუხისმგებაში, თუმცა, არც ამ განცხადებით და არც შემდგომ, საზოგადოებისათვის ცნობილი არ გამხდარა, თუ ვინ იყვნენ პასუხისმგებაში მიცემული პირები და რა დანაშაულისათვის მოხდა მათი დასჭადა.

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ განაცხადში ასევე საუბარია სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევაზე ეროვნული სასამართლოების მიერ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღების გამო.

### 5. გაზეთი „ბათუმელები“ და დიასამიდე საქართველოს ნინეალმდებარებულის განხილვი (საქმე №49071/12)

გაზეთ „ბათუმელებისა“ და უურნალისტ ე.დიასამიდის სახელით ევროპულ სასამართლოში შეტანილი იქნა ორი ახალი განაცხადი. ორივე საქმე შეეხება ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევას.

განმცხადებლებს შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა და შემდგომ უკვე ეროვნულმა სასამართლოებმა უარი უთხრეს მაღლალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებაზე, რის გამოც ვეღარ შეძლეს მათი უურნალისტური საქმიანობის სრულყოფილად განხორციელება.

## 6. მართისაშვილი საქართველოს ნინაულმდებ (საქმე №25915/12)

საქმე შეეხება თავდაცვისა და ეკონომიკის სამინისტროების მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებების გამო განმცხადებლის საკუთრების უფლების სერიოზულ შელახვას, რაც არ გამოსწორდა ეროვნული სასამართლოების მიერ საქმის განხილვის დროს.

განმცხადებელი არის ინდ. მენარმე. იგი 2004 წელს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან დადებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, სარგებლობდა დაბა ვაზიანში მდებარე კაფე-მაღაზით. 2008 წელს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ცალმხრივად, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მოხდა განმცხადებელთან დადებული ხელშეკრულების მოშლა. ხელშეკრულების მოშლის შესახებ სამინისტროს ბრძანება, როგორც უკანონოდ გამოცემული, სასამართლოს 2009 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი. აღნიშნულ პერიოდამდე კი, განმცხადებელს არ მიეცა კაფე-მაღაზიაში შესვლის და იქ არსებული ინვენტარისა და პროდუქტის გამოტანის საშუალება. საბოლოოდ, აღნიშნული ქონება მთლიანად განადგურდა. განმცხადებელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში მიყენებული ზიანის, მათ შორის 2008-2009 წლების მიუღებელი შემოსავლის, ანაზღაურების მოთხოვნით. ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკამაყოფილდა წანილობრივ - მარტიშვილს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკამაყოფილებაზე შენობაზე განხორციელებული რემონტის ხარჯების, შენობაში დარჩენილი ინვენტარის ღირებულების, ხელშეკრულების ფაქტობრივი შეწყვეტის შემდეგ გადახდილი ქირის, ბანკისაგან აღებული კრედიტის, მასზე რიცხული პირგასამტებლოსა და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში. მიუღებელი შემოსავლის ნაწილში დაუკამაყოფილდა მოთხოვნა მხოლოდ 2008 წლის მიუღებელ შემოსავალზე, ხოლო 2009 წლის მიუღებელ შემოსავალზე უარი ეთქვა.

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ განაცხადში საუბარია კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლისა (საკუთრების უფლება) და კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევებზე.

## 7. ხესიშვილი საქართველოს ნინაულმდებ (საქმე №22742/12)

საქმე შეეხება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების პრობლემებს. პრაქტიკა აჩვენებს, რომ პატიმრობის გამოყენება ისევ ხშირად და დაუსაბუთებლად ხდება ეროვნული სასამართლოების მიერ. ამ კუთხით პრობლემატურია სააპელაციო სასამართლოში პატიმრობის გასაჩივრების მექანიზმიც (უმეტეს შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ეტაპსაც ვერ გადის სსსკ-ის დებულებების გათვალისწინებით) და პატიმრობის შეფარდების პერიოდულად გადასინჯვის მექანიზმი, რომელიც ფორმალურ ხასიათს ატარებს. კერძოდ, სსსკ-ის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიების მართებულობის გადასინჯვისათვეს საჭიროა ახალი გარემოების არსებობა, რომელიც პრაქტიკაში გაგებულია, როგორც გარემოება, რომელიც საქმეში ადრე ნახსენები არ ყოფილა.

აღნიშნული საკითხებია დასმული განმცხადებლის – ზ.ხუციშვილის სახელით ევროპულ სასამართლოში წარდგენილ განაცხადში, სადაც საუბარია ევროპული კონვენციის 5.3 და 5.4 მუხლების (პირადი უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის უფლება) დარღვევაზე.

## 8. შებითიძე საქართველოს ნინაულმდებ (საქმე №43854/12)

საქმე შეეხება სავარაუდო პოლიტიკური მოტივაციით განმცხადებლის მსჯავრდებას ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვისათვის. განმცხადებელი ოპოზიციური პარტიის „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ და, იმავდროულად, არარეგისტრირებული კავშირის „ნარკომადგენლობითი სახალხო კრების“ წევრია. იგი აქტიურად მონაწილეობდა 2009 წლის აპრილის და 2011 წლის მაისის თვეებში ქ. თბილისში, ოპოზიციური პარტიების მიერ ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ მასობრივ საპროტესტო აქციებში. განმცხადებლის თქმით, მას ნარკოტიკული საშუალება პოლიციელებმა პირადი ჩერეკების დროს ჩაუდეს, ხოლო მისი მსჯავრდების მოტივს პოლიტიკური შეხედულებები წარმოადგენს.

შებითიძის სისხლის სამართლის საქმეში არსებული დარღვევები ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ფლობის ბრალდებით საპროტესტო აქციებში მონაწილე

არაერთი პირის და ოპოზიციის აქტივისტის წინააღმდეგ არსებულ საქმეებში გამოვლენილი დარღვევების იდენტურია.

ევროპულ სასამართლოში განაცხადი შეტანილ იქნა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევის საფუძვლით.

#### 9. ხარაძე საქართველოს ნინა ლომავაძე (საქმე №19419/12)

საქმე შეეხება კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი ოჯახის პატივისცემისა და ხელშეუხებლობის უფლება) დარღვევას, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სატელევიზიო გადაცემა „პატრულში“ გასული სიუჟეტის გამო, რომელშიც განმცხადებელი მოხსენიებული იყო, როგორც ქურდი. მოგვიანებით, განმცხადებლის წინააღმდეგ შეწყდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება, რადგან დადგინდა, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია.

განმცხადებელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. მისი პირადი ცხოვრების შელახვის მიუხედავად, ეროვნულმა სასამართლოებმა მოპასუხეებს (საქართველოს წინაგან საქმეთა სამინისტრო და ტელეკომპანია „რუსთავი 2“) არ დააკისრეს ვალდებულება, მოეხდინათ აშკარად მცდარი ინფორმაციის/ფაქტების უარყოფა. ამასთან, სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს განმცხადებლის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე.

#### 10. ბურდიშვილი და სხვები საქართველოს ნინა ლომავაძე (საქმე №26290/12)

საქმე შეეხება რეპრესირებულთა მემკვიდრეების მიერ ფულადი კომპენსაციის მიღებას, კლაუს და იური კილაძეების საქმეზე ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ, 2011 წლის მაისში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად.

განმცხადებლებს, მართალია, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიანიჭა ფულადი კომპენსაცია, მაგრამ ძალიან დაბალი ოდენობით, რაც შიდა სასამართლოების მიერ უკვე დადგენილი პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლოს აქამდე არსებული პრეცედენტების მიხედვით, კომპენსაციის ოდენობაზე დავა არ არის წარმატებული, გადავწყვიტოთ, მანიც მივმართოთ განმეორებით ევროპულ სასამართლოს და ვცადოთ, ვამტკიცოთ კონვენციის მე-6 (სამართლიანი სასამართლო) და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლების (საკუთრების უფლება) დარღვევა, ვინაიდან რეპრესირებულებისთვის შიდა სასამართლოების მიერ დადგენილი კომპენსაციის ოდენობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

განაცხადში საუბარია იმაზე, რომ განმცხადებლებისათვის მიკუთვნებული კომპენსაცია და, ზოგადად, ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა აღნიშნული საქმეების განხილვასა და კომპენსაციის ოდენობასთან დაკავშირებით არ შეიძლება ჩაითვალოს კლაუს და იური კილაძის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ეფექტურ აღსრულებად საქართველოს მიერ და, ამასთან, მსგავსი პრაქტიკა წარმოადგენს ევროპული კონვენციით დაცული უფლებების ახალ და განსხვავებულ დარღვევას. საქმეში აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, ეროვნული სასამართლოები არ აფასებენ თითოეულ საქმეზე მოსარჩელეთა ინდივიდუალურ მდგომარეობას, გადაწყვეტილების დასაბუთება არის შაბლონური და კომპენსაციის ოდენობა იდენტური.

#### 11. გამსახურდია საქართველოს ნინა ლომავაძე

საქმე შეეხება ც-გამსახურდიას მსჯავრდებას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის დროს ქრთამის მიცემისათვის, დანაშაულის პროცესუალური სასამართლოების წინაშე განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი მსჯავრდება სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მიერ დანაშაულის პროცესუალურ მდგომარეობას, სასამართლოებმა ეს არ გაითვალისწინეს.

ევროპულ სასამართლოში განაცხადი კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევის გამოა წარდგენილი.

## 12. ქოქოლაძე საქართველოს ნინაალმდებ

მოცემული საქმე სს „ელიტელექტრონიქსის“ დირექტორის ანზორ ქოქოლაძის სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას შეეხება. იგი მსჯავრდებულ იქნა თაღლითობისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადების წაქეზებისათვის. კერძოდ, თითქოსდა, მან მის მიერვე შექენილი უძრავი ქოქების ლირებულება ხელოვნურად გაზიარდა და გაზრდილი ფასით ის შეიტანა მისი შვილობილი კომპანიის, შპს „ელიტ ტექსტილის“ საწესდებო კაპიტალში, რომელიც შემდგომ მისივე (100 პროცენტიანი წილობრივი მონაწილეობით) სს „ელიტელექტრონიქს“ გადასცა საკუთრებაში. საქმის მასალების მიხედვით, ა.ქოქოლაძის მიმართ წარდგენილი ბრალდება აშკარად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია.

ევროპულ სასამართლოში განაცხადი კონვენციის მე-6 (სამართლიანი სასამართლო) და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი (საკუთრების უფლება) მუხლებით არის შეტანილი.

## 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტთან დაკავშირებული საქმეები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, რუსეთის სამართლებრივი ინიციატივის (RJI), ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) და საიას ერთობლივი პროექტების ფარგლებში, კვლავ გრძელდებოდა 2008 წლის აგვისტოს ოქმის დროს დაზარალებულ პირთა საქმეებზე. მათ შორის, EHRAC-ის უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა კომუნიკაცია რუსეთის პროკურატურასთან შიდა სამართლებრივი საშუალებების ამონურვის კუთხით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კვლავ აქტუალური იყო ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემა ე.წ. საქართველო-სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიული როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში.

საიასა და RJI-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ევროპულ სასამართლოში წარდგენილ იქნა კიდევ ერთი ახალი განაცხადი, რომელიც ადამიანის უფლებათა დარღვევას სწორედ ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრისპირა ტერიტორიაზე შეეხება.

## ლომსაძე და სხვები რუსეთის ნინაალმდებ (საქმე №77190/11)

საქმე შეეხება ოთხი ეთნიკურად ქართველი პირის დაკავებას ოსი და რუსი სამხედროების მიერ საჩხერის რაიონში 2011 წლის მაისის თვეში. დაკავების დროს მათ წინააღმდეგ გამოყენებული იქნა (ცეცხლ-სასროლი იარაღი, რის შედეგადაც ერთ-ერთი განმცხადებელი მძიმედ დაიჭრა, ხოლო მეორემ შედარებით მსუბუქი სხეულის დაზიანება მიიღო).

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ განაცხადში საუბარია კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), მე-5 (პირადი ხელშეუხებლობის უფლება), მე-6 (სამართლიანი სასამართლო), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-13 (უფლება დაცვის ეფექტურ საშუალებაზე) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევაზე.

## ნარმატებული საქმე

ევროპის სასამართლომ 2012 წლის 2 ოქტომბერს გამოიტანა გადაწყვეტილება საიას მიერ წარმოებულ საქმეზე კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (1484/07). საიასთან ერთად, განმცხადებლების ინტერესებს ადამიანის უფლებათა ევროპული ცენტრი (EHRAC) იცავდა.

სასამართლომ დადგენილად ცნო მოპასუხე სახელმწიფოს მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5 (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება), მე-6 (სამართლიანი სასამართლოს უფლება), მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) და მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის (სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება) დარღვევა, რადგან განმცხადებლების დაკავება მოხდა უკანონოდ, შეკრების თავისუფლებაში უკანონო ჩარევით, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლომ, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე, ხუთივე განმცხადებელს 30 დღიანი პატიმრობა შეუფარდა, რაც, ევროპის სასამართლოს აზრით, აშკარად გადამეტებული სასჯელი იყო.



გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს მთავრობას, თითოეული განმცხადებლის სასარგებლოდ, მორალური ზიანისათვის 6000 ევროს, ხოლო საქმის წარმოების ხარჯებისათვის 5 957 ევროს გადადა დაეკისრა.

შეგახსენებთ, რომ განმცხადებლების დაკავება 2006 წლის 29 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში გამართულ საპროცესტო აქციაზე მოხდა. განმცხადებლები უურნალისტების – შალვა რამიშვილისა და დავით კოხერეიძის დაპატიმრებას აპროცესტებდნენ და მოუწოდებდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს, არ მიეღო ტენდენციური გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებით, სასამართლოს უპატივცემლობისთვის განმცხადებლებს 30 დღიანი პატიმრობა შეეფარდათ.

## სტრატეგიული სამართალთარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასო-ციამის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 8 ახალი კონსტიტუციური სარჩელით მიმართა. საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საიას ერთი სასარჩელო მოთხოვნა, ორი სარჩელი არ იქნა არსებითად განსახილველად მიღებული, არსებითად განიხილა და ამჟამად გადაწყვეტილების მიღებას ელოდება ორი სარჩელი (ერთი სარჩელი შეეხება დახურულ ინტერნეტ-ურთიერთობაზე დაკვირვებას მოსამართლის თანხმობის გარეშე, ხოლო მეორე – პოლიციის მიერ ადამიანის გაჩერებას და ზედაპირულ შემოწმებას). საიას მიერ წარდგენილ ორ „სასამართლოს მეგობართან“ დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა საიას წერილობითი მოსაზრებები.



### 1. ბენიამინ ძელაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

საიამ ქუთაისის მანქანამონტაჟის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლის ბენიამინ აბრამიძის სახელით საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშავის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №53 დადგენილების ცალკეული ნორმები.

საიას მიაჩნია, რომ მთავრობის №53 დადგენილება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტს, 39-ე მუხლს და 42-ე მუხლის მე-9 პუნქტს. სადაცო ნორმატიული აქტით, იმის ნაცვლად, რომ მომხდარიყო ფულადი დახმარების გონივრულ ოდენობამდე შემცირება, რაც აუცილებელი იქნებოდა საბიუჯეტო სახსრების დაზოგვისათვის, ყოველთვიური სარჩო სრულიად გაუქმდა. გარდა ამისა, სახელმწიფო არ იყო უფლებამოსილი, სრულად უარესო ადამიანის უფლება – მიეღო ყოველთვიური სარჩო, ვინაიდან ეს მოთხოვნა ეფუძნებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებითა ან ადმინისტრაციული აქტით წარმოშობილ კანონიერ მოლოდინს. სახელმწიფოს მიმართ სოციალური შემწეობის უზრუნველყოფაზე არსებული კანონიერი მოლოდინი გამომდინარეობს სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპიდან, რაც კონსტიტუციის პრეამბულით გათვალისწინებული სამართლებრივი სახელმწიფოს არსებითი მახასიათებელია.

## **2. მარისა კიკუ საქართველოს კარლაშვილის ნინაალმდებარება**

2012 წლის 20 აპრილს საიამ მოლდოვას მოქალაქე მარიანა კიკუს სახელით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. საია ითხოვს უცხოელისათვის საპროტესტო აქციის პასუხისმგებელ პირად ყოფნის აკრძალვის გაუქმებას.

2011 წლის 1 ივნისს ცვლილებები და დამატებები შევიდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში და პარლამენტმა ნაწილობრივ აღადგინა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა, რომლითაც სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ეკრძალებათ შეკრებისა და მანიფესტაციების ორგანიზების უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს თავისი გადაწყვეტილებებით ერთმანეთისაგან არ გაუმიჯნავს აპატრიდები და უცხოელები. უფრო მეტიც, მიზეზი, რის გამოც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო აკრძალვა, იყო მისი ბლანკებური ხასიათი.

პარლამენტის მიერ შეტანილი შესწორება კვლავაც ინარჩუნებს ბლანკებურ ხასიათს და შესაძლებლობას ართმევს უცხოელებს, ეფექტურად მიაწვდინონ ხმა ხელისუფლებას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებზეც საქართველოს მოქალაქეებს და საქართველოში მყოფ აპატრიდს, შესაძლოა, ინტერესი არც ჰქონდეს.

## **3. თამარ ჯავახაძი საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დასვის მინისტრის ნინაალმდებარება**

საანგარიშო პერიოდში საიამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეების თამარ ჯავახაძის სახელით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის მიერ თავისი მეორე მოქალაქეობის სახელმწიფოდან პენსიის მიღება საქართველოში პენსიის მიღებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

საიას აზრით, აღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებულ თანასწორობის უფლებას, ვინაიდან პენსიაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს პირის მოქალაქეობა. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს, მიიღოს პენსია სხვა ქვეყნიდან. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი ამ დროს არის იმავე მდგომარეობაში, როგორიც საქართველოს მოქალაქე, რომელიც წლების განმავლობაში, იყო რა დასაქმებული საქართველოში, საშემოსავლო გადასახადს უზდიდა სახელმწიფოს იმ მიზნით, რომ საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ მის მიერ განხორციელებული შენატანი პენსიის სახით უკან დაბრუნებოდა.

## **4. ვლადიმერ სანიქიძე და მაია ხუსივილი საქართველოს კარლაშვილის ნინაალმდებარება**

2012 წლის 29 მაისს საიამ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს სასამართლოს მიმართ უპატივცემლობისათვის ადვოკატის გაძევებას, იმავე ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობის აკრძალვას და დაჯარიმებას 50-დან 5000 ლარის ოდენობით. აღნიშნულ საქმეში მოსარჩევების წარმოადგენენ ადვოკატები, რომელთა მიმართ უშუალოდ გავრცელდა სადაც ნორმების მოქმედება.

საიას აზრით, სადაც ნორმები წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ (სამართლიან სასამართლოზე უფლება) და მესამე პუნქტთან (დაცვის უფლება), ვინაიდან გაძევებას და ჯარიმას წინ არ უძლვის ადვოკატის გაფრთხილება – შენყვიტოს სასამართლოს მიმართ უპატივცემლობის გამომხატველი ქმედება. შესაბამისად, ადვოკატ არ აქვს გონივრული დრო აღნიშნული ქმედების შეწყვეტისთვის. გაძევებისა და დაჯარიმების წინ ადვოკატს არ ეძლევა შესაძლებლობა, საკუთარი მოსაზრებები წარადგინოს იმის გასაქარწყლებლად, რომ მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია სასამართლოს მიმართ უსატივცემლობას. გარდა ამისა, სასამართლოს მიერ ადვოკატის გაძევებასა და დაჯარიმებასთან დაკავშირებით მიღებული განკარგულება არ საჩივრდება ზემდგომ სასამართლოში, რაც კიდევ უფრო ზრდის სასამართლოს შეცდომის რისკს.

## 5. მაის ასაკაშვილი, დ.ხ. და ქ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2011 წლის ანგარიშში საუბარი გვქონდა ქმედუუნარო პირის მეურვის – მაია ასაკაშვილის მიერ შეტანილ სარჩელზე, რომლითაც გასაჩივრებული იყო ქმედუუნაროდ (ცნობილი პირის სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული ნორმები). საანგარიშო პერიოდში საიამ იმავე შინაარსს სარჩელები შეიტანა ამჯერად უკვე გონიერი ჩამორჩენილობის და ფსიქიკური აშლილობის გამო ქმედუუნარო პირების სახელით. კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, მათ ვინაობას არ ვასახელებთ.

ორი დამატებითი სარჩელის შეტანის შემდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო წინა საანგარიშო პერიოდში მეურვის – მაია ასაკაშვილის მიერ შეტანილი სარჩელი. სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულია, რომ მეურვე არ არის უფლებამოსილი სუბიექტი, იდავოს ქმედუუნაროდ ცნობილი სამეურვეო პირის სახელით. საკონსტიტუციო სამართლნარმოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა არ იცნობს არავითარ განსხვავებას ქმედუუნარო და ქმედუუნარიან პირს შორის. საკონსტიტუციო სამართლნარმოებაში ქმედუუნარო პირის მიმართ არ ვრცელდება ის შეზღუდვები, რასაც მის მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ანესებს.

საია მიესალმება საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ მიდგომას. იმ პირობებში, როდესაც საკონსტიტუციო სამართლნარმოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა დუმდა ქმედუუნარო პირთან დაკავშირებით, სასამართლომ მეურვისაგან დამოუკიდებლად ქმედუუნარო პირს მისცა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლება.

## 6. ტრისტან მამაგულაშვილი და ფიჩუზ ვანიევი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2012 წლის 3 ივლისს საიამ კონსტიტუციური სარჩელი შეიტანა ფირუზ ვანიევის და ტრისტან მამაგულაშვილის სახელით. 2011 წლის 27 დეკემბერს შეტანილი საკანონმდებლო ცვლილებით, „დევნილთა შესახებ“ კანონი ვრცელდება მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიებიდან გამოდევნილ პირებზე.

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით, ოკუპირებულ ტერიტორიად ითვლება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ტერიტორიები, რომელიც არასოდეს შედიოდა არც აფხაზეთის და არც ყოფილი სამხრეთ ოსეთის შემადგენლობაში, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს, ოკუპირებულ ტერიტორიად არ მიიჩნევა.

ერთი მოსარჩელე ცხოვრობს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთში, ხოლო მეორე – ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დვინში. ეს სოფლები არასოდეს შედიოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში, შესაბამისად, მოსარჩელები, როგორც არაოკუპირებული ტერიტორიიდან ადგილაცვალი პირები, ვერ სარგებლობენ დევნილის სტატუსით, რითაც ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებული კანონის წინაშე თანასწორობის უფლება.

## 7. ო.დ. დ.დ. ს.ქ. ლ.ბ. მ.ბ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

ო.დ. დ.დ. და ს.ქ. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან, ხოლო ლ.ბ. და მ.ბ. – სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები. ყველა მათგანი ცხოვრობს ახალქალაქში და სწავლობს საქართველოს საჯარო სკოლაში. საიამ, მათი სახელით, საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის ის ნორმები, რომელთა საფუძველზეც, მოსარჩელეებს, ზოგადი განათლებისათვის საჭირო სტანდარტული ვაუჩერის მისაღებად, ევალებათ განსაზღვრული ოდენობის თანხის გადახდა.

საია მიიჩნევს, რომ უცხოელებისათვის სასკოლო განათლების მისაღებად საფასურის გადახდის დაკისრება ენინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს (დისკრიმინაციის აკრძალვა), ვინაიდან ამგვარი საფასურის გადახდას კანონი არ ავალდებულებს საქართველოს მოქალაქეებს. გარდა ამისა, სადაც ნორმა წინააღმდეგობაში მოდის 35-ე მუხლის პირველ და მესამე პუნქტთან. კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, განათლება არის ყველას, და არა მხოლოდ მოქალაქეების, უფლება. ხოლო იმავე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა, ზოგად განათლებას კი, კანონით დადგენილი წესით აფინანსებს სახელმწიფო.

#### **8. საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი საქართველოს კარსამენტის წინააღმდეგ**

საიამ იურიდიული პირის – „საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის“ სახელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. გასაჩივრებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის დებულებები, რომლებიც პირს ართმევს უფლებას, სააპელაციო ინსტანციაში გაასაჩივროს თავის ქონებაზე ყადალის დადების თაობაზე სასამართლოს განჩინება, თუკი მესაკუთრე არ სარგებლობს მხარის საპროცესო სტატუსით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, მხარეს წარმოადგენს ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი და პროკურორი. ამ ჩამონათვალში არ გვხვდება პირი, რომელსაც არ გააჩნია არც ერთი ზემოხსენებული სტატუსი. აღნიშნული მუხლის საფუძველზე, იურიდიულ პირს, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ, არ მიეცა შესაძლებლობა, სასამართლოში გაესაჩივრებინა განჩინება მის ქონებაზე დადებული ყადალის თაობაზე.

საია მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ნორმა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან (ინფორმაციის მიღების უფლება), 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან (სასამართლოსათვის მიმართვის უფლება) და 21-ე მუხლის (საკუთრების უფლება) პირველ და მეორე პუნქტებთან.

#### **თამარ ხიდაშელი და საია საქართველოს კარსამენტის წინააღმდეგ**

#### **თამარ ხიდაშელი და საია საქართველოს კარსამენტის წინააღმდეგ**

2012 წლის 28 თებერვალს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და მოქალაქე თამარ ხიდაშელის სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. აღნიშნული სარჩელით საიამ სასამართლოს 2008 წლის ოქტომბერში მიმართა და მოითხოვა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობა. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის 6 თვით გაგრძელების უფლებას გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებისა და სასამართლოს თანხმობის გარეშე, რითაც წინააღმდეგობაში მოდიოდა კონსტიტუციის მე-20 მუხლის (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა) პირველ პუნქტთან. სასამართლომ სრულად გაიზიარა საიას სასარჩელო მოთხოვნა და სადაც ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო.

#### **სასამართლოს მეზობელი**

##### **1. „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ კანონი**

2011 წლის 21 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. აღნიშნულ საქმეში საიამ „სასამართლოს მეგობრის“ სტატუსით წერილობითი მოსაზრებები წარადგინა. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-19 მუხლთან (რწმენის თავისუფლება) შეუსაბამოდ ცნო კა-

ნონის ის ნორმა, რომელიც რელიგიური თუ პაციფისტური მოსაზრებების გამო არ ითვალისწინებდა ამ შეხედულებების მატარებელი პირისათვის ალტერნატიული სამხედრო სამსახურის დაკისრებას.

საია თავის წერილობით მოსაზრებაში აღნიშნავდა, რომ სარეზერვო სამსახურში ისევე არსებობს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გარემოებები, როგორც ეს სავალდებულო სამხედრო სამსახურთან მიმართებით ხდება. უცხო ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკიდან გამომდინარე, საია მიუთითებდა, რომ საქართველოს საამისო უნარის მქონე მოქალაქის ვალდებულება – დაიცვას ქვეყანა – შესაძლოა განხორციელდეს არასამხედრო, სამოქალაქო ხასიათის საზოგადოებრივი მრომის გზით, მაშინ როდესაც ეს აუცილებელია ადამიანის რელიგიური ან არარელიგიური მრნამსის პატივისცემის მიზნით.

## 2. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი

2012 წლის 11 აპრილს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლთან (გამოხატვის თავისუფლება) შეუსაბამოდ ცნონ კაბელური ქსელით მაუწყებლობის ლიცენზირების ვალდებულება, თუმცა, ძალაში დატოვა თანამგზავრის მეშვეობით მაუწყებლობის ლიცენზირების აუცილებლობა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აღნიშნულ საქმეში ჩართული იყო „სასამართლოს მეგობრის“ სტატუსით. საია ამტკიცებდა, რომ საეთერო მაუწყებლობისგან განსხვავებით, საკაბელო და თანამგზავრის მეშვეობით მაუწყებლობისას არ გამოიყენებოდა ბუნებრივად ამონურვადი რესურსი – სიხშირე. შესაბამისად, გამართლებული არ იყო აღნიშნული ტიპის მაუწყებლობის დაწყებისათვის კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიიდან ლიცენზიის მიღება. თავის მხრივ, ლიცენზიის გარეშე საკაბელო და თანამგზავრული მაუწყებლობის დაწყების შემდეგ, მარეგულირებელ კომისიას უნდა შეენარჩუნებინა ასეთი მაუწყებლის საქმიანობის კანონიერების შემოწმების უფლებამოსილება. საკონსტიტუციო სასამართლოშ გაიზიარა სახალხო დამცველისა და საიას მოსაზრებები საკაბელო მაუწყებელთან მიმართებით.


## სტატეგიული სამართალის მოვალეობა ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით

საია განაგრძობდა სტრატეგიულ სამართალწარმოებას ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა რიგი ტენდენციები. კერძოდ, არცთუ იშვიათად ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ინფორმაციის გაცემა ხდებოდა არასრულყოფილი სახით. ამასთან, შეინიშნება ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული ორგანოები თავად განუსაზღვრავენ დაინტერესებულ პირებს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმას. კვლავ პრობლემად რჩება როგორც მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების, ასევე, პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მიღება. ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით წარმოებული სასამართლო დავები, მთელ რიგ შემთხვევებში, მოკლებულია შესაბამის დასაბუთებას.

### საჯარო ინფორმაციის სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით სულ წარდგენილი იქნა 428 განცხადება. აქედან:


■ სრულად დაკმაყოფილდა	245
■ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	80
■ არ დაკმაყოფილდა	103
■ გასაჩივრდა	44



### აღმინისტრაციული საჩივრების სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში პროექტის ფარგლებში სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის ფაქტზე სულ წარდგენილ იქნა 32 ადმინისტრაციული საჩივრები. აქედან:


■ სრულად დაკმაყოფილდა	12
■ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	3
■ არ დაკმაყოფილდა	17
■ გასაჩივრდა	13



### სარჩევები

საანგარიშო პერიოდში პროექტის ფარგლებში სხვადასხვა სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე სულ წარდგენილი იქნა 32 სასარჩევო განცხადება. აქედან:


■ სრულად დაკმაყოფილდა	1
■ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	0
■ არ დაკმაყოფილდა	14
■ შეწყდა წარმოება	3
■ გასაჩივრდა	14



## სტრატეგიული სამართალდარღვევა ქართული მაღის სამართლებრივი დაცვის შენიშვნის ფარგლებში


საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს უურნალისტთა უფლებების დაცვა წარმოადგენდა. საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის იურისტები კვლავაც ახორციელებდნენ მედიის წარმომადგენელთათვის სამართლებრივ დახმარებასა და კონსულტაციებს მთელი საქართველოს მასშტაბით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადდა 266 სამართლებრივი დოკუმენტი. მათი კლასიფიკაციაში შემდეგნაირია:



რაც შეეხება სამართლებრივ კონსულტაციებს – ცენტრის მიერ მთლიანობაში გაიცა 1982 იურიდიული კონსულტაცია.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად იმატა საარჩევნო და სისხლის სამართლის საკითხებზე შემოსულმა შეკითხვებმა, თუმცა, კონსულტაციების საერთო სტატისტიკა მრავალფეროვანია:



მიმდინარე წლის განმავლობაში საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის მიერ საადვოკატო წარმოება განხორციელდა 41 საქმესთან დაკავშირებით, აქედან 12 საქმე წარმატებით დასრულდა, 22 – მიმდინარეა, ხოლო 7 – არ დაკმაყოფილდა.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებით იმატა უურნალისტთა უფლებების დარღვევის ფაქტებმა. ხმირ შემთხვევაში, იკვეთებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები.

მედიასფეროში მიმდინარე მოვლენებს საია 28 ოფიციალური განცხადებით გამოეხმაურა, აქედან 10 განცხადება მოიცავდა ინფორმაციას დანაშაულის შეტყობინების შესახებ. მითითებული საქმეებიდან გამოძიება მხოლოდ ორ საქმეზე დასრულდა.

### **საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ რამდენიმე მნიშვნელოვან საქმეს:**

#### **1. 2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლისას დაშავებული ურნალისტების საქმე**

2011 წლის მაისიდან საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრი დახმარებას უწევს იმ უურნალისტებს, რომლებიც 26 მაისის აქციის დაშლისას დაზარალდნენ. ცენტრის იურისტების წარმომადგენლობით, სამმა უურნალისტმა და ოთხმა მედია საშუალებამ, ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, სარჩელი შეიტანა სასამართლოში შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ. სამინისტრომ წაწილობრივ აღიარა უურნალისტებისათვის მიყენებული ზიანი. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2011 წლის 26 დეკემბერს წაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და მოპასუხეს ზიანის ანაზღაურება დაკვისრა, რის აღსრულებაც განხორციელდა 2012 წლის ოქტომბერში სააღსრულებო ბიუროს დახმარებით.

დაზარალებულმა უურნალისტებმა დამოუკიდებელი სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვეს შე მინისტრის იმ ბრძანების ხელმისაწვდომობა, რომლითაც სანქცია დაედო აქციის დაშლაში მონაწილე ზოგიერთ სამართალდამცავს. დღეისათვის, შსს-ს ოფიციალური ინფორმაციით, ცნობილია მხოლოდ ის ფაქტი, რომ რამდენიმე სამართალდამცავმა გადააჭარბა უფლებამოსილებას და მათ დაედოთ ადმინისტრაციული სახდელი. სამინისტრომ უარი განაცხადა აღნიშნული აქტების გასაჯაროებაზე. ამ ეტაპზე საქმე განხილვის პროცესშია.

#### **2. მედია ორგანიზაციების სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინააღმდეგ**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ უარყოფითად შეაფასა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2012 წლის 6 აგვისტოს ბრძანება, რომლითაც მედია ორგანიზაციებს პასუხისმგებლობა გაუორმავდათ. კერძოდ, დაევალათ საარჩევნო სუბიექტების მიერ პოლიტიკურ რეკლამის განთვალსისობათვის განხორციელებული ანგარიშსწორების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება 24 საათში. ჩვენ მოვუწოდეთ მედია ორგანიზაციებსა და საარჩევნო სუბიექტებს, აქტის ბათილობის მოთხოვნით მიემართათ სასამართლოსთვის. საბოლოოდ, შვიდი მედია ორგანიზაციის სურვილით, მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის მიერ მომზადდა სარჩელი, რომელიც ამ ეტაპზე თბილისის საქალაქო სასამართლოშია წარდგენილი.

#### **3. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება**

2012 წლის 23 სექტემბერს ცესკომ გამოაქვეყნა დადგენილების პროექტი „ზოგიერთი საარჩევნო საკითხის გაშუქების თაობაზე“, რომელიც შეეხებოდა დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენლების უფლებების შეზღუდვას კენჭისყრის დღეს. ცესკომ წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ ვიდეო გადაღებამ ამომრჩეველთა რაოდენობა უზრუნველყოფაში შესაძლოა საგრძნობლად შეამციროს. აკრძალვის ერთ-ერთ არგუმენტად მითითებული იყო, ასევე, მედიის წარმომადგენლების მიერ საარჩევნო უბნებზე შესაძლო ხმაურის გამოწვევა. დადგენილების პროექტმა სამართლიანად დაიმსახურა სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია ორგანიზაციების კრიტიკა. შედგა შეხვედრა ცესკომის თავმჯდომარესა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შორის, სადაც ჩვენმა ორგანი-



ზაციაშ დააფიქსირა საკუთარი კრიტიკული პოზიცია დადგენილების პროექტთან დაკავშირებით. საიას კრიტიკული პოზიცია დაფიქსირდა ასევე ცესკოს სხდომაზე, რომელზეც აღნიშნული დადგენილება განიხილებოდა. მიუხედავად არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების პროტესტისა, ცესკომ აღნიშნული დადგენილება მაინც მიიღო.

2012 წლის 25 სექტემბერს საიამ, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ, სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ და მედია კლუბმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართეს. მოსარჩელეები მოითხოვდნენ ცესკოს ზემოაღნიშნული დადგენილების ბათილად ცნობას. სასამართლომ არ დაკავყოფილა მოსარჩელეთა კანონიერი მოთხოვნა, რაც დაუყოვნებლივ გასაჩივრდა საპელაციო წესით. სამწუხაროდ, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

#### 4. საცელი ანგარიშის დაყადაღება

2012 წლის ივნისში საქართველოს პროეურატურამ დაიწყო გამოძიება ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ფაქტთან დაკავშირებით. აღნიშნული გამოძიების ფარგლებში წარდგენილი იქნა პროეურატურის შუამდგომლობები, რომლებზე დაყრდნობითაც თბილისის საქალაქო სასამართლომ დააყადაღა ორი მედია ორგანიზაციის – შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგისა“ და შპს „სტუდია მაესტროს“ კუთვნილი სატელიტური ანტენები და მიმღებები. სასამართლოსა და პროეურატურის მოქმედებები, ასევე, სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილმა არგუმენტებმა სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკა დაიმსახურა. შესაბამისად, დაიწყო აქტიური მოქმედებები არსებული მდგომარეობის შესაცვლელად. საიამ საჯარო განცხადებები გააკეთა ზემოაღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით და მოამზადა საკმაოდ კრიტიკული სამართლებრივი დასკვნა შპს „სტუდია მაესტროს“ კუთვნილი სატელიტური ანტენების დაყადაღებასთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციების აქტიურობას მოჰყვა გარკეეული შედეგი. ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა გამოთხვა მზაობა, შეცვლილიყო პოლიტიკური წება და შპს „სტუდია მაესტროს“ ჰერონდა შესაძლებლობა, დაერიგებინა მისი კუთვნილი სატელიტური ანტენები „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით. საარჩევნო პროცესის დასრულების შემდეგ კი, 2012 წლის 2 ოქტომბერს, სასამართლომ, პროეურატურის შუამდგომლობით, გამოსცა აქტი, რომლითაც ყადაღა მოეხსნა ორივე კომპანიის კუთვნილ სატელიტურ ანტენებს.



## მუსლიმთ გადააღილებაზე პირთა – ლევილთა სამართლებრივი დახმარება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენი იურისტები განაგრძობდნენ იძულებით გადაადგილებული პირების სამართლებრივ დახმარებას. გარდა ინდივიდუალური და ჯგუფური სამართლებრივი კონსულტაციებისა, საჭიროების შემთხვევაში, ხდებოდა სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება და საადვოკატო წარმომადგენლობის განხორციელება.

იურიდიული დახმარების კუთხით დევნილთათვის განეული საქმიანობა რაოდენობრივად ასე გამოიყურება:

- ინდივიდუალური იურიდიული კონსულტაციები – 2689
- სამართლებრივი დოკუმენტები – 298
- ახალი საადვოკატო საქმეები – 17
- მობილური ვიზიტები – 114

2012 წლის ოქტომბერი გამოირჩეოდა იძულებით გადაადგილებული პირების მიერ სხვადასხვა შენობის თვითნებური დაკავების გახშირებული ფაქტებით. ამ დევნილი ოჯახების იდენტიფიცირებისა და მათი საჭიროებების დადგენის მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ადგილზე ახორციელებდნენ შესაბამისი ინფორმაციის მოძიებას. სამუშაო ჯგუფებში შედიოდნენ როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლები. ერთ-ერთი სამუშაო ჯგუფის წევრი იყო საიაც. საანგარიშო პერიოდში ჩვენ მიერ მონიტორინგი განხორციელდა დევნილების მიერ დაკავებულ 10 ობიექტზე.

### საიას წარგენი სამეთვალყურეო საბჭოში

დევნილთა პრობლემებზე საიას აქტიური მუშაობის გამო, მიმდინარე წელს დევნილთა საკითხებზე მომუშავე ყველაზე აქტიურმა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა საია წარადგინეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და დევნილთა სამინისტროსთან არსებულ დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამეთვალყურეო საბჭოში. შესაბამისად, 2012 წლის ივნისიდან საია სამეთვალყურეო საბჭოში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელია და მონაწილეობს საბჭოს საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით.

## სასჯელასრულების დანესხულებაში განთავსებული კატიონებისათვის განეული დახმარება

მიმდინარე საანგარიშო წელს საიამ გააგრძელა ერთობლივი პროექტის განხორციელება საქართველოს სახალხო დამცველთან ერთად, რომლის მიზანია პატიმართა უფლებების დაცვა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის გაძლიერება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საიას წარმომადგენლებს კვლავაც ჰქონდათ სამუშალება, მონაწილეობა მიეღოთ აღმოსავლეთ საქართველოს სასჯელადსრულების დაწესებულებებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგის პროცესში და შეესწავლათ პატიმართა უფლებების დაცვის მხრივ არსებული მდგომარეობა. პროექტის ფარგლებში სულ ჩატარდა ორი ერთობლივი მონიტორინგი, რომელთა ფოკუსსაც წარმოადგენდა საპატიმრო დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობა. ზემოაღნიშნული ორივე მონიტორინგის შედეგები აისახა საიასა და საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოცემულ ერთობლივ ანგარიშში – „არასათანადო მოპყრობა სასჯელალსრულების დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში“.

მიმდინარე საანგარიშო წელს დამატებით განხორციელდა სასჯელალსრულების დაწესებულებებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგი, რომლის ფოკუსს, არასათანადო მოპყრობასთან ერთად, საპატიმრო დაწესებულებებში პატიმართა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობაც წარმოადგენდა. აღნიშნული მონიტორინგის შედეგები გამოიცემა მოგვიანებით.


მსგავსად წინა წლისა, მაღალია თბილისისა და რეგიონულ ოფისებში შემოსული მომართვები როგორც პატიმრებისგან, ისე მათი ოჯახის წევრებისგან. შესაბამისად, საიას ადვოკატები გასცემდნენ პირად და სატელეფონო კონსულტაციებს, ასევე, ახორციელებდნენ პატიმართა მონაცემებას სასჯელალსრულების დაწესებულებებში. კონსულტაციის განვევასა და სხვადასხვა ორგანოს წინაშე მათი ინტერესების წარმოდგენასთან ერთად, ჩვენ ვეხმარებოდით პატიმრებსა და მათი ოჯახის წევრებს სამართლებრივი დოკუმენტების შედგენაში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საიას თბილისისა და რეგიონების ოფისებში გაიცა 4102 კონსულტაცია, რომელიც მოიცავს პირად, სატელეფონო და სასჯელალსრულების დაწესებულებებში გაცემულ კონსულტაციებს. ამასთან, მომზადდა 703 სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტი – განცხადება, საკასაციო საჩივარი და ა.შ. 96 პატიმარს წერილობით მივაწოდეთ პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე.

საიას დახმარებით 49 მსჯავრდებულმა მიმართა კომისიას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელისგან გათავისუფლების მოთხოვნით, თუმცა, კომისიას აღნიშნული საქმეები დღემდე არ განუხილავს, გარდა ერთისა. აქედან 9 საქმეში, შეიძლება ითქვას, რომ გარევულნილად ჩვენი აქტიურობის შედეგად, თავად სასჯელალსრულების დეპარტამენტმა მიმართა სასამართლოს სასჯელის მოხდის გადავადების მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილდა. 7 საქმეში მსჯავრდებულებმა, საიას დახმარებით, თავად მიმართეს სასამართლოს სასჯელის გადავადების მოთხოვნით, თუმცა, სასამართლო მათი მოთხოვნა არ დააქმაყოფილა, გარდა ერთი საქმისა.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა სასჯელალსრულების დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის 24 ფაქტი. საიას ადვოკატები იცავენ მსჯავრდებულთა ინტერესებს გამოძიების ეტაპზე.

ჩვენ მიერ პატიმართათვის განეული იურიდიული დახმარებისა და განხორციელებული მონიტორინგების პროცესში ცხადად გამოვლინდა, რომ ჯანდაცვა და პატიმრებისთვის განეული სამედიცინო დახმარება კვლავაც პრობლემატურ საკითხად რჩება სასჯელალსრულების სისტემაში. განსაკუთრებით პრობლემურია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მსჯავრდებულთა გათავისუფლებისა და სასჯელის გადავადების მექანიზმები საქართველოში. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ საკითხზე მოვამზადეთ კვლევა – „ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მსჯავრდებულთა გათავისუფლებისა და სასჯელის გადავადების მექანიზმები საქართველოში“. კვლევაში მოცემულია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და იდენტიფიცირებული პრობლემების ანალიზი. ასევე, ნაჩვენება კომისიისა და სასამართლოს მუშაობის დროს გამოკვეთილი სირთულეები კონკრეტული მაგალითების ფონზე და მიმოხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო რელევანტური პრეცედენტები.



პრევენციული ეროვნული მექანიზმი

არასაბალო მოახმარა ადოლავლით  
სასამოხლეს სასამართლოდან  
ადამიანის მოახმარი  
წილის გადასახვა



საქართველოს საბჭოო დაცვების  
საქართველოს მოახმარი მოახმარი

## საის აკტივობა წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ

2012 წლის სექტემბერში, სასჯელალსრულების დაწესებულებებში პატიმართა წამებისა და არასათანადო მოპყრობის ამსახველი ვიდეო მასალის გავრცელების შემდეგ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ რამდენიმე მიმართულებით განახორციელა აქტივობები. კერძოდ, ადამიანის უფლებების დამცველ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ჩატარდა არაერთი პრესკონფერენცია, რომლებზეც დაისვა მოთხოვნა წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და შესაბამისი პირების სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, საგანგებო განცხადებით მიმართა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს, წამების პრევენციის ევროპის საბჭოს კომიტეტს, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე გაეროს სპეციალურ მომსხენებელს, წამების წინააღმდეგ კომიტეტის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ქვეკომიტეტს. გარდა ამისა, საიას წარმომადგენლები 2 დღის მანძილზე მონაწილეობდნენ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის მისაში, რომელიც გლდანის №8 სასჯელალსრულების დაწესებულებაში პატიმრებთან გასაუბრებასა და არსებული მდგომარეობის შეფასებას ისახავდა მიზნად. ამასთან, საიას ადვოკატები ინტენსიურად ახორციელებდნენ მსჯავრდებულთა მონახულებას სასჯელალსრულების სხვადასხვა დაწესებულებაში. ამ პერიოდში 40 პატიმარზე მეტი იქნა მონახულებული. მათგან მონოდებული 245 ახსნა-განმარტება კი მთავარ პროკურატურას მივაწოდეთ და გამოძიების დაწყება მოვითხოვეთ. აღნიშნულ ახსნა-განმარტებებთან ერთად, საიამ მთავარ პროკურატურას კიდევ ერთხელ გადაუგზავნა საიას დაცვის ქვეშ მყოფ პირთა სია, რომელთა საჩივრის საფუძველზე დაწყებულია გამოძიება, მაგრამ ამ დროისთვის შედეგები არ დამდგარა.



აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით, საიამ დაამზადა სოციალური სარეკლამო რგოლი, რომელიც ეხმაურებოდა საზოგადოების მოთხოვნას კონკრეტული უფლებამოსილი პირების სისხლისსამართლებრივი და პოლიტიკური პასუხისმგებლობის შესახებ. აღნიშნული რგოლი ერთი თვის განმავლობაში აქტიურად ტრიალებდა რამდენიმე მაუწყებლის ეთერში.

საზოგადოებრივი სამართლებრივი ცნობილების  
ამაღლება და კანონისამი პატივისცემის  
დამკვირვება



## საზოგადოებრივი სამართლებრივი სინოდის აღალება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება

საია არა მარტო იცავს ადამიანის უფლებებს, არამედ უზრუნველყოფს მოქალაქეების აღჭურვას იმ სა-თანადო უნარებითა და ინფორმაციით, რაც აუცილებელია მათი უფლებების სრულყოფილად რეალ-იზაციისათვის. სწორედ ამიტომ, ჩვენს ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებად მიგვაჩინია საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება.

### საიდეოლოგიური სეიმის მიზანი, მიზანი რეალური ავტო-ტურიზმი

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული კამპანია მოიცავდა სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებას საჯარო მოხელეების, ადვოკატების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის; გასვლით შეხვედრებს; ავტოტურს.

საინფორმაციო სემინარებისა და შეხვედრების სტატისტიკა რეგიონებში:

რეგიონული ოფისები	ქუთაისი	აჭარა	გორი	რუსთავი	ივიურგეთი	გლეხი	გურჯაათი	სულ
სემინარები, მრგვალი მაგიდები, შეხვედრები	285	114	141	9	19	20	11	599
მონაწილეთა რაოდენობა	3965	4243	2115	200	378	310	249	11460

სემინარებსა და მრგვალ მაგიდებზე განხილული იყო თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება, რომლებიც საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანიზაციების მიერ და, ასევე, საზოგადოებისთვის აქტუალური სხვა თემები. მათ შორისაა:

- „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებები.
- საკონსტიტუციო ცვლილება საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობის გაზრდის შესახებ.
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებები.
- საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები.
- ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა.
- ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებული პრობლემების მიმოხილვა.
- პასუხისმგებლობა ჟურნალისატის საქმიანობაში ხელშეშლის გამო.
- დევნილთა მიმართ სახელმწიფო პროგრამა და დევნილთა უფლებები.
- საბიუჯეტო პროცესი ადგილობრივ თვითმმართველობაში.
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის წესი.
- აღკვეთის ღონისძიებები და წინასასამართლო სხდომა.
- ინფორმაციის თავისუფლების პრობლემები საქართველოში.
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური გარანტიები.
- ეროვნული უმცირესობების უფლებები და მათი ინტეგრაცია.
- ბავშვთა უფლებები.
- გამოხატვის თავისუფლება.
- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უფლება-მოვალეობები.
- შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები.
- სახელმწიფო პენსიის დანიშვნის წესი.
- მამობის დადგენასთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები.

#### **ტელე-რადიო გადახემები**

რეგიონებში აქტიურად ვთანამშრომლობდით ადგილობრივ მაუწყებლებთან მოსახლეობასთან მაქსიმალური კომუნიკაციის მისაღწევად.

#### **რადიო „ჰერეთი“ – თემები:**

- პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხები
- საქართველოს პარლამენტის 2011 წლის თელავის შუალედური არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგი
- საქართველოს პარლამენტის 2011 წლის თელავის შუალედური არჩევნების შეფასება
- შრომითი დაცები

#### **რადიო „თრიალეთი“ – თემები:**

- საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება
- საკანონმდებლო ცვლილებები პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესში
- პოლიტიკური ნიშნით საჯარო სკოლებიდან პედაგოგების გათავისუფლება
- დევნილთა პრობლემები
- საკანონმდებლო ცვლილებები „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში
- ინფორმაციის თავისუფლების პრობლემები საქართველოში
- ე.წ. უსტატუსო დევნილთა სამართლებრივი მდგომარეობა

#### **რადიო „ძველი ქალაქი“ – თემები:**

- საბიუჯეტო პროცესი ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე
- სახელმწიფო სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები
- აქტიური მოქალაქეობა
- „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და საარჩევნო კოდექსის მიმოხილვა
- შშმ პირთა უფლებები
- ქალაქ ქუთაისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების უფლებები და რეალობა

#### **რადიო „ამერიკის ხმა“ – თემები:**

- უსტატუსო დევნილთა სამართლებრივი მდგომარეობა
- კორუფცია ჯანდაცვის სფეროში

#### **რადიო „თავისუფლება“ – თემები:**

- კონფლიქტის მიმდებარე სოფლებში არსებული მდგომარეობა
- კონტროლის პალატის მიერ კოალიცია „ქართული ოცნების“ შემომწირველების დაჯარიმების კანონიერება
- საქართველოს პარლამენტის 2011 წლის თელავის შუალედური არჩევნების შეფასება
- ოჯახური ძალადობა
- გენდერული თანასწორობა

#### **ტელეკომპანია „TV25“ – თემები:**

- სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა ამომრჩევლის მოსყიდვისათვის
- ბიძინა ივანიშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის კანონიერება
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა
- უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში
- სამოქალაქო სექტორის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებები

#### **ტელეკომპანიები: „გურჯაანი“, „გორდა“ და „თანამგზავრი“ – თემები:**

- საკონსტიტუციო ცვლილებები პარლამენტში დეპუტატების რაოდენობის გაზრდასთან და-კავშირებით
- პარტიების დაფინანსება
- საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები
- ადმინისტრაციული პატიმრობა
- საქართველოს პარლამენტის 2011 წლის თელავის შუალედური არჩევნების შეფასება
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახეები და პასუხისმგებლობის ზომები
- ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამები
- სასამართლოს მიმართ მოქალაქეთა ნდობის ხარისხი
- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი
- მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში
- უწყებრივი ბინების პრივატიზაცია

#### **ტელეკომპანია „რიონი“ – თემები:**

- დასაქმებულთა შრომითი უფლებები
- შშმ პირების უფლებები
- ეთნიკური უმცირესობების პრობლემები
- წყალტუბოსა და ბალდათის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პრობლემების ადვოკატიონი
- საალიმენტო ვალდებულებები
- რეკომენდაციები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის

#### **ტელეკომპანია „იმედი“, თოქ-შოუ „100 გრადუსი ცელსიუსი“ – თემები:**

- ე.წ. ქუჩის ბავშვების პრობლემები
- ოჯახური ძალადობა

## **ტელეკომპანია „მაქსტრო“ – თემები:**

- ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში
- ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამები
- უსტატუსო დევნილთა სამართლებრივი მდგომარეობა
- ცვლილებები პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესში
- დევნილთა პრობლემები
- კონფლიქტის მიმდებარე სოფლების პრობლემები

## **მარნეულის სათემო ტელევიზია, კონსულტაციები პირდაპირ ეთერში – თემები:**

- სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია
- მემკვიდრეობა
- სახელშეკრულებო ურთიერთობები
- საოჯახო სამართალი
- საბინაო ამხანაგობები
- იპოთეკა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება

## **საიფორმაციო ხასიათის პროცესები**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გასვლითი კონსულტაციების პროცესში მოსახლეობისთვის დასარიგებლად გამოიცა ბროშურები შემდეგ აქტუალურ თემებზე:

- რა უნდა ვიცოდეთ სასამართლოში სარჩელის შეტანამდე
- სამედიცინო დაზღვევა 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის
- როგორ უნდა მოახდინონ ფიზიკურმა პირებმა მათ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება
- დაზარალებულის უფლებები

## **კვეთ-ტურები**

მიმდინარე საანგარიშო წელს საიას იურისტები აქტიურად მონაწილეობდნენ გასვლით შეხვედრებში – ავტო-ტურებში, რომლის დროსაც ხდებოდა რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის საკანონმდებლო სიახლეების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და მათთვის იურიდიული დახმარების გაწევა.

2011 წლის ოქტომბერში საიას გორის ოფისმა განახორციელა ავტო-ტური სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალციხის, ადიგენის და ასპინძის მუნიციპალიტეტების შემდეგ სოფლებში: ჭაჭარაქი, კლდე, წნისი, გიორგიშინდა, ფერსა, მუგარეთი, ზიკილე, აგარა, ანყური, ხერთვისი, ფია, თმოგვი, ნაქალაქევი, ვარძია, მირაშხანი, ანყვიტა, დამალა, რუსთავი, იღუმალა, ასპინძა, ნიჯვორი, ხიზაბავრა, სარო, თოკი, ტოლოში, უდე, შოლავერი, ბოლაჯური, მლაშე, ბენარა, ქვემო ენთერი. მოსახლეობის დაინტერესება გამოიწვია მაღალმთანი რეგიონებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთათვის ფულადი კომპენსაციის გაცემის, სკოლის მანდატურების უფლებამოსილების, მინაზე საკუთრების უფლების აღიარების, ორმაგი მოქალაქეობის მიღების, მასწავლებლთა სერტიფიცირების, მარჩენალდაკარგულის პენსიის დანიშვნის, სოციალური დახმარების, უძრავი ნივთების რეგისტრაციის, ოჯახური ძალადობის, ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის, საარსებო შემწეობის დაზიანის, იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, სკოლის თვითმმართველობის, სამეურვეო საბჭოს ფუნქციების, ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციის, ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების, ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის

შესწავლის, მემკვიდრეობის მიღების, შეწყალებისა და ამნისტიის, საგადასახადო შეღავათების და სხვა სამართლებრივმა საკითხებმა. შეხვედრებზე მოსახლეობას დაურიგდა საიას მიერ გამოცემული საინფორმაციო ხასიათის ბროშურები. ავტო-ტურზე სულ გაიცა 592 კონსულტაცია.

2012 წლის თებერვალსა და აპრილში საიას გორის ოფისმა ასევე განახორციელა ავტო-ტური გორის, ხაშურის, ქარელის და კასპის მუნიციპალიტეტების სოფლებში: ტინისხიდი, ორთაშენი, თელონმინდა, ახალდაბა, არაშენდა, შინდისი, ვარიანი, საქაშეთი, ფქვენისი, ყელქცეული, მელვრეკისი, ქვემო ნიქოზი, ზემო ნიქოზი, ქვემო ხვითი, ზემო ხვითი, სკრა, ახალხიზა, უფლისციხე, აჭენი, ხიდისთავი, ქვახვრელი, ბანვისი, კოშკები, დიდი გორიჯვარი, აგარა, ქვენატკოცა, ბერძენაული, ქვემო საქაშეთი, აბისი, საციკური, აბისთავი, ბრეძა, აბანო, ატოცი, ფლევი, ოსიაური, ვაყა, გომი, ნაბახტევი, ბრილი, ალი, ბეკმი, სატივე, იგორეთი, სამთავისი, გომი, ახალციხე, დოესი, ხოვლე, გრაკალი, თელიანი, მეტეხი, ზემო ხანდაკი, ქინწისი, მარანა, შერთული, ტყვიავი, ფლავისმანი, შერთული, ბრონლეთი, თერგვისი, კარბი, ტირმისისი, რუსი, ურბნისი, დვანი, ტახტისძირი, დირბი, ბრეთი, წვერი, ბებნისი, საღლოაშენი, არადეთი, ყელეთი, ნრომი, ბროლოსნი, წალვლი, ცხრამუხა, ცოცხნარა, ტეზერი, ქვიშხეთი, ტაშისკარი, ტკოცა, ვაკე, პანტიანი, გორაკა, სარიბარი, ზარდიანთკარი, აღაიანი, ოკამი, ყარაფილა, თეზი. 2011 წლის დეკემბრის თვიდან საქართველოს კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, რომლის შედეგადაც შეიცვალა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესი და პირობები, ამომრჩევლის მოსყიდვასთან დაკავშირებული რეგულაციები. ავტო-ტურზე მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, საარჩევნო კოდექსსა და სისხლის სამართლის კოდექსში ამიმართულებით შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით. სულ გაიცა 792 კონსულტაცია.

დუშეთის ოფისის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ავტო-ტური დუშეთის, თიანეთის, მცხეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების სოფლებში. მოსახლეობასთან შეხვედრები გაიმართა 36 დასახლებულ პუნქტში, მათ შორის, შემდეგ სოფლებში: შუახევი, გრიგოლაანთკარი, ხანდო, ილტოზა, კანალხევი, ქალილო, ზენუბანი, ხორხი, მილისნეარო, მაღარო, ცივწყარო, ქერანა, ძალისი, ნიფორი, ხოშარა, ახატანი, ოორულაანი, ჭალისუბანი, არაშენდა, დოლასქედი, ტუშურები, ჯულისი, ტონჩია, ციხისძირი, ვეშაგურები, ძველი ოსები, კიტოხი, ჭართალი, მუქო, გორისციხე, არაბულები, შარახევი, ციხევდავი, დგნალი, გუდამაყარი, საგურამი. შეხვედრებში მონაწილეობას იღებდა 728 ადგილობრივი მოსახლე, რომელთა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია მიწების დაკანონების, მემკვიდრეობის მიღების, სამოქალაქი აქტების რეგისტრაციის, პენსიაზე დანამატის მიღების, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების, სოციალური დახმარებების დანიშვნის, კომლის გაყოფის, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, მარჩენალდაკარგულის პენსიის დანიშვნის, მაღალმთიანი რეგიონებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის პრობლემებმა, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირებზე კომპեნსაციის გაცემის წესმა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესულმა ცვლილებებმა. სულ გაიცა 992 კონსულტაცია.

საანგარიშო პერიოდში საიას თელავის ოფისმა განახორციელა ავტო-ტური ყვარლის, თელავის, გურჯაანის და სიღნაღის მუნიციპალიტეტების სოფლებში: გულგულა, ართანა, ახაშენი, ვაზი-სუბანი, კაჭრეთი, ვეჯინი, კარდენახი, ნინკანაანთსერი, საბუე, ალმათი, ქვემო ბოდე, მაღარო. სულ გაცემულ იქნა 247 კონსულტაცია. მოსახლეობის დაინტერესება გამოიწვია ადმინისტრაციული სახდელის დადების, იძულებითი აღსრულების, სასოფლო-სამეურნეო დანიშვნულების მიწების დაკანონების, სოფლის დახმარების პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების, საპენსიო უზრუნველყოფის, შრომითი ხელშეერულების მოშლის, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის, კომლის მემკვიდრეობის გახსნის, უძრავი ქონების რეგისტრაციის, იჯარით აღებული მიწების შესყიდვის, საკომლო წიგნების, ტერიტორიული ორგანოების მიერ ცნობების გაცემის და მათ მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების პრობლემებმა.

საანგარიშო პერიოდში საიას აჭარის ფილიალმა ჩატარა ავტო-ტურები ქედის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების შემდეგ სოფლებში: სახარია, საჩინო, ზენითი, აჭყვისთავი, კობალაური, ჭახათი, კოხი, ქვედა დაგვა, ზედა დაგვა, დივათი, ჩიქოლეთი, ჩხუტუნეთი, ხუცუბანი, ბუკნარი, ციხისძირი, ჩაქვი, ხალა, წყავროკა, ბობოყვათი,

ზეგარდნი, კვატია, ჩანჩურისხევი, ყიშლა, წაბლანა, ფუშკურაული, ვერნევი, გოდერძის ულელტებილი, რიყეთი, დიდი რიყეთი, ბელლეთი, ვაშლოვანი, სხალთა, დიოკისი, თერნალი, ნენია, ბუთურაული, ოქროპილაური, გუნდაური, მახე, უჩამბა, კოკოტაური, დაბაძველი, სხეფი, კლდისუბანი, დრო, აქუცა, ცხემნა, კორომხეთი, ძენნმანი, დიდვაკე, ორცვა, კუჭულა, ხუნკუდა, ჩაისუბანი, ორთაბათუმი, მწვანე კონცხი, სარფი, გონიო, ერგე, კირნათი, ონტოფო, სიმონეთი, მარადიდი, მაჭახლისპირი, ვაიო, ჭორომხეთი. მთლიანობაში გაიცა 1754 კონსულტაცია. მოსახლეობის დაინტერესება გამოიწვია მინაზე საკუთრების უფლების, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირებისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემის, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების, სოციალური დაბმარებელთა უფლებების დაცვის, დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის და ეკომიგრანტების განსახლების საკითხებმა. საიას აჭარის ფილიალის იურისტებმა მაღალმთანი აჭარის რეგიონში მცხოვრებ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირებს ადგილზეც შეუდგინეს სარჩელები ფულადი კომპენსაციის მისაღებად. აგრეთვე, განუმარტეს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის, საარსებო შემწეობის მიღებისა და ჯანმრთელობის დაზღვევის წესი და პირობები.

საიას ოზურგეთის ოფისის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ავტო-ტური ჩოხატაურის, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების შემდეგ სოფლებში: ბაილეთი, ჯუმათი, ძიმითი, ნალობური, ზემო ნატანები, გომი, მამათი, წყალწმინდა, ლესა, დაბლაციხე, ნიგოითი, ჩოხათი, სამება, ქვენობანი, ფარცხმა, ბუკისციხე. ასევე, ყოველკვირეული გასვლითი კონსულტაციები ტარდებოდა ქ. ფოთში, დაბა ჩოხატაურსა და ლანჩხუთში. სულ გაცემულ იქნა 949 კონსულტაცია. მოსახლეობის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა პარტიების დაფინანსებასა და საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, მინაზე საკუთრების უფლების აღიარების, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირთათვის ფულადი კომპენსაციის გაცემის, უძრავი ქონების რეგისტრაციის, მინის პრივატიზაციის, მაღალმთანი რეგიონებისათვის დაწესებული შეღავათების, კომლის გაყოფის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ტყითა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, საგადასახადო შეღავათებისა და სოციალური საკითხები.

საიას რუსთავის ოფისმა საანგარიშო პერიოდში განახორციელა ავტო-ტური მარნეულის, თეთრიწყაროს, გარდაბნის, ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტების შემდეგ სოფლებში: დრე, ორბეთი, ახალი ზირბითი, თონეთი, სამლერეთი, ჭივჭავი, ლიპაიფნარი, ყოლბანი, ერცისი, ბორბალო, ვაშლოვანი, ირგანჩია, წინწყარო, ხაიში, ბაილარი, წერეთელი, კაპანახჩი, ილმაზლო, ქეშალო, აბდალო, მუშევანი, კიანეთი, ყირმიზქენდი, ბუდიონოვკა, ახალი დიოკინისი, ბალიჭი, დაბა კაზრეთი, მაშავერა, იაყუბლო, ქარიანი, კამარლო. გაცემულ იქნა კონსულტაციები სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. მათ შორის, საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე, მიწების დაკანონებაზე, სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადებულ ბაბაშვთა დაბადების ფაქტების დადგენაზე, სააქტო ჩანაწერებში არასწორი მონაცემების შესწორებებზე, პენსიის და სოციალური დახმარების დანიშვნაზე. სულ გაცემულ იქნა 462 კონსულტაცია.

საიას ქუთაისის ფილიალმა საანგარიშო პერიოდში ჩაატარა ავტო-ტურები ცაგერის, წყალტუბოს, ამბროლაურის, ტყიბულის, ხაშურის, ხარაგაულის, ხონის, მარტვილის, ჩოხატაურის, სამტრედიის და თერჯოლის მუნიციპალიტეტების შემდეგ სოფლებში: ორბელი, ალპანა, ტვიში, ზოგიში, ლაჯანა, ცხუნკური, ოყურეში, მექენა, რიონი, საყულია, ქვიტირი, ფარცხანაყანევი, ოფურჩხეთი, ნამოხვანი, უონეთი, ჩორჯო, ჭრებალო, პატარა ონი, ნამანევი, ჭელიალელე, ხონჭიორი, ნიკორწმინდა, ხრესილი, კურსები, ჭყეპი, ორპირი, გელათი, ჩუმათელეთი, ფონა, წიფა, მოლითი, უბისა, ბორითი, ვერტყვიჭალა, კუხი, ნახახულევი, მათხოვი, ნაგვაზაო, ქუტირი, ივანდილი, ხუნწი, ინჩხური, ლეხაინდრაო, გუთური, გოგოლესუბანი, ნაბელლავი, ბუკისციხე, დაბლაციხე, ხევი, ხიდისთავი, ჯვარცხმა, ფარცხმა, ბურნათი, ნაბაკევი, ნოლა, ტოლები, გოდოგანი, ენერი. შეხვედრებზე მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია პარლამენტის წევრის სტატუსისა და უფლებამოსილების, პარლამენტის არჩევის წესის, ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების, კენჭისყრის დღის პროცედურების, ამომრჩევლის მოსყიდვის, პარტიების დაფინანსების რეგულაციების შესახებ. ავტო-ტურზე ინფორმირებულ იქნა 1027 მოქალაქე და გაცემულ იქნა 647 კონსულტაცია.

## იძულებით გადაადგილებულ პირთა სწორის უფლებას

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საია განაგრძობდა დევნილთა ცნობიერების ამაღლების კუთხით სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას. დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ადგილებში მობილური ვიზიტებისას, სისტემატიურად ხდებოდა დევნილების ინფორმირება სამოქმედო გეგმის და სახელმწიფო სტრატეგიის თაობაზე, რაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ამ მიმართულებით მათი ცნობიერების ამაღლებას.

მობილური ვიზიტების და ოფისებში გაწეული კონსულტაციების თემატიკის დამუშავების შემდგომ გაირკვა, რომ დევნილებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის ნაკლებობა წარმოადგენდა. ამიტომ გამოიცა ბროშურა – „სამედიცინო დაზღვევა დევნილთათვის.“ ბროშურის გავრცელება ხდებოდა როგორც საიას ოფისებში, ასევე მობილური ვიზიტების დროს.

იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების დროული და ეფექტური გადაწყვეტის მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 3 მრგვალი მაგიდა. იძულებით გადაადგილებულ პირებს საშუალება მიეცათ, ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიელოთ მათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები და შეთავაზებები კონკრეტული პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით. შეხვედრებს ასევე ესწრებოდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები. მრგვალი მაგიდები ჩატარდა:

- გორში, თემაზე – დევნილთა საცხოვრებელი ფართების პრივატიზაციის საკითხები;
- ბათუმში, თემაზე – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია და დევნილთა უფლებები;
- ქუთაისში, თემაზე – იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

## ჯანდაცვის უფლება

საია კელავ აქტიურად აგრძელებს მუშაობას ჯანმრთელობის უფლებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების საკითხებზე. წინა საანგარიშო პერიოდში შეიქმნა ვებ-გვერდი [www.healthrights.ge](http://www.healthrights.ge), რომლის მიზანია, სხვადასხვა დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია ადამიანის უფლებების შესახებ პაციენტთა მზრუნველობის სფეროში. მიმდინარე საანგარიშო წელს ხდებოდა ვებ-გვერდის მუდმივი განახლება და რელევანტური ინფორმაციის განთავსება. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში გამოიცა 2 ბროშურა:

- აივ-ინფექცია/შიდსი და ადამიანის უფლებები
- პალიატიური მზრუნველობა და ადამიანის უფლებები



ორივე ბროშურა საკმაოდ ინფორმაციულია და მოიცავს პასუხებს ყველა ძირითად კითხვაზე, რომელიც შესაძლებელია ამ ტიპის პაციენტებს წარმოებათ. ბროშურა ასევე შეიცავს იმ სამედიცინო, ფსიქოლოგიური და უფლებადამცველი დაწესებულებების ჩამონათვალს, რომელსაც შესაძლებელია პაციენტებმა მიმართონ საჭიროების შემთხვევაში. ბროშურების ავტორებად შერჩეულ იქნენ ამ სფეროში მოღვაწე მაღალკვალიფიციური ექსპერტები.

## შურნალისტთა ცნობირების ააღმლება და საის მიღის სამართლებრივი დაცვის შემთხვევაში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უურნალისტებთან მუშაობის დროს განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა მათი ცნობიერების ამაღლებაზე იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საარჩევნო კოდექსით დადგენილ რეგულაციებს შეეხებოდა. საის მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის ინიციატივით, საის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა პრაქტიკული რეკომენდაციები მედიისთვის. დოკუმენტები მომზადდა როგორც საარჩევნო საკითხების გაშუქების წესზე, ისე კენჭისყრის დღის თაობაზე.

სექტემბრის თვეში გაიმართა შეხვედრები ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებთან თელავში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ამბროლაურში, გორასა და ბათუმში. თემა – „არჩევნები და მედია“. ამავე შეხვედრებზე უურნალისტებს მიენიდათ ინფორმაცია მედია-ცენტრის საქმიანობისა და იმ მომსახურების თაობაზე, რასაც ცენტრი უურნალისტებს უწევს.

საის მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის თაობაზე ცნობადობის ამაღლების მიზნით, მომზადდა სპეციალური ბუკლეტები და პოსტერები იმ საქმიანობისა და აქტივობების შესახებ, რომლებსაც უურნალისტებს ვთავაზობთ. ასევე, აღდგა ცენტრის ვებ-გვერდი [www.gmldc.ge](http://www.gmldc.ge), რომელსაც დაემატა ე.წ. მედია რუკა. მასში განთავსდება საის თბილისისა და რეგიონული ოფისების მიერ მონიცემებული ინფორმაცია უურნალისტთა უფლებების დარღვევისა და სხვა ფაქტების შესახებ. მონაცემები მუდმივად განახლდება და ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია არსებულ მედია გარემოსთან დაკავშირებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ასევე, სოციალურ ქსელ [facebook](http://facebook.com/gmldc)-ში შეიქმნა სპეციალური გვერდი – „ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრი“.



## აქციები



### აქცია კრეზილენტის აღმინისტრაციასთან

არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააპროტესტეს პრეზიდენტის მიერ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონსა და სისხლის სამართლის კოდექსში ამომრჩევლის მოსყიდვასთან დაკავშირებით 2011 წლის 28 დეკემბერს შეტანილი არაკონსტიტუციური ცვლილებების ხელმოწერა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ, კოალიციამ არჩევანის თავისუფლებისათვის და ფონდმა „ლია საზოგადოება – საქართველო“ 28 დეკემბერს პრესკონფერენცია გამართეს, სადაც დააფიქსირეს საკუთარი შენიშვნები პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებთან დაკავშირებით და მოუწოდეს საქართველოს პრეზიდენტს, არ დაეშვა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული და საერთაშორისო სამართლით აღიარებული უმნიშვნელოვანესი პრინციპების დარღვევა და გამოეყენებინა კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული ვეტოს უფლება. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა ცვლილებების პროექტს ხელი მოაწერა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან საპროტესტო აქცია გამართეს სლოვანით – „ვაპროტესტებთ!“

### 10 დეკემბერი – აღმინისტრის უფლებათა კვირეული

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 10 დეკემბერს – ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღეს – ღონისძიებათა ტრადიციული სერიით აღნიშნავს.

კვირეული 2011 წლის 10 დეკემბერს საიას თავმჯდომარის სპეციალური პრესკონფერენციით გაიხსნა, რომელმაც ზოგადად მიმოიხილა ის უფლებები, რომელთა რეალიზება წლის განმავლობაში ყველაზე პრობლემური იყო.

იმავე დღეს, რიყეზე, საიას თანამშრომლებმა და წევრებმა ადამიანის უფლებების საერთაშორისო დღე სიმბოლური აქციით აღნიშნეს. ასევე, სერიის ფარგლებში, წლის განმავლობაში საიას მიერ მომზადებული სხვადასხვა კვლევის პრეზენტაციები გაიმართა.



**26 ივნისი – ნაგების მსხვერალთა დასვის საერთაშორისო დღე**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მიმდინარე საანგარიშო წელსაც არ დაარღვია ტრადიცია და წამების მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო დღე სხვადასხვა აქტივობით აღნიშნა – ამჯერად სახალხო დამცველთან ერთად. 26 ივნისს, საქართველოს სახალხო დამცველმა და საიას თავმჯდომარემ დილმის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორს გადასცეს სპეციალურად პატიმრებისთვის მომზადებული საინფორმაციო პოსტერები და ბროშურები თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების შესახებ. აღნიშნული მასალა გამიზნული იყო დაწესებულების თანამშრომელთა ინფორმირებისთვისაც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციისათვის.



**საკროტესტო აქცია ქსნის №15 დაწესებულებასთან**

საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ქსნის №15 დაწესებულების მსჯავრდებულებმა საქართველოს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს მათ მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით. განცხადებაში, რომელსაც დაახლოებით 700-მდე მსჯავრდებული აწერდა ხელს, საუბარი იყო მათ მიმართ განხორციელებული ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებზე.

აღნიშნულ საკითხზე საიამ და სამოქალაქო სოლიდარობის კამპანიამ, პატიმრებისთვის სოლიდარობის გამოცხადების წიმნად, 2012 წლის 2 ივლისს ქსნის ციხესთან აქცია გამართეს და ზემოაღნიშნული ფაქტების სათანადო გამოძიება მოითხოვეს.



## გელია მონიტორინგი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მედია საშუალებებით ორგანიზაციის საქმიანობის გაშუქების მონიტორინგის მიზნით, უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობს კვლევით ორგანიზაცია IPM-თან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, IPM-ის მიერ მოწოდებული სტატისტიკით, საია ნახსენები იყო 61 მედია საშუალების 4061 სტატიასა თუ ტელე-რადიო სიუჟეტში.


როგორც მონაცემებიდან ირკვევა, 10 ტელევიზიის ეთერით საიას შესახებ სულ გადაიცა 1368 სიუჟეტი/ გადაცემა. მათ შორის, ლიდერობდა ტელეკომპანია „მაესტრო“ – 432 გადაცემით.

8 რადიოტალღაზე გავიდა 431 სიუჟეტი. მათგან 126 სიუჟეტით ლიდერობს რადიო „პალიტრა“.

პრესის 25 საშუალებაში წლის განმავლობაში საიას შესახებ გამოქვეყნდა 892 სტატია. ყველაზე მეტი – 159 სტატია – დაიბეჭდა გაზეთ „რეზონანსში“.

რაც შეეხება ინტერნეტ გამოცემებს, საიას შესახებ გამოქვეყნდა 1504 სტატია. მათგან 270 სტატიით პირველ ადგილზეა [www.interpressnews.ge](http://www.interpressnews.ge).

საიას მედია დაფარვის სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



ეფექტური, ანგარიშვალებელი და  
მამაკანური მმართველობის ხელმანყობა



## ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე და გამჭვირვალე მართველობის ხელშეწყობა

ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა კვლავ რჩება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად. ამ კუთხით, საიამ, წინა წლების მსგავსად, არაერთი აქტივიბა განახორციელა, კერძოდ: ანტიკორუფციული თუ სხვა თემატური კვლევები, მართლმსაჯულების პრობლემების ანალიზი – კონკრეტული საქმეების შესწავლისა თუ სასამართლო პროცესების მონიტორინგის გზით, პარლამენტთან მუშაობა კანონმდებლობის დახვენის მიზნით, წინასაარჩევნო პროცესებისა და არჩევნების დაკვირვება და ა.შ. საანგარიშო პერიოდში საიას მიერ რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა მომზადდა.

### კვლევები

#### დისპიცილინური საქმის საქართველოში სამსახური

საჯარო სამსახურის რეფორმა და ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება არაერთი წელია ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად განიხილება საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ „საქართველოს ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრუქტურისა“ და მისი შესრულების სამოქმედო გეგმაში.

მონიტორინგის ანგარიშში აისახა ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფეხურები (ფორმალური ასპექტი);
- დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და ზომები (მატერიალური ასპექტი);
- ზემოაღნიშნული ორივე კომპონენტის გამოყენება პრაქტიკაში (პრაქტიკული ასპექტი).

მონიტორინგის სუბიექტები – საქართველოს მთავრობის კანცელარია, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს პარლამენტის აპარატი და ყველა სამინისტროს ცენტრალური აპარატი (გარდა შსს-ს და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ოფისისა).

#### კალაპ ეუთაისში საქართველოს კარლამენტის მშენებლობა

მონიტორინგის ანგარიში წარმოადგენს ქალაქ ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობის პროცესების სამართლებრივ შეფასებას 2009 წლის დეკემბრიდან 2011 წლის დეკემბრის ჩათვლით. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ პარლამენტის მშენებლობის შესახებ ინფორმაცია გასაიდუმლობული და ხელმიუნვდომელია.

მონიტორინგის პერიოდში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ არაერთგზის მიმართა უფლებამოსილ ორგანოებს. ოფიციალური პასუხებიდან



ცხადი გახდა, რომ მათთვის არათუ ცნობილია საქართველოს პარლამენტის მშენებლობის პროექტის, ხარჯთაღრიცხვისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, არამედ მათ ბაზაში საერთოდ არ მოიპოვება ინფორმაცია და არც ზედამხედველობას ახორციელებენ.

მონიტორინგის პროცესის მიმდინარეობისას გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, როგორიცაა:

- საჯარო ინფორმაციაზე ხელმიუნვდომლობა ან ვადის დარღვევით გაცემა;
- დაუსაბუთებელი გადამისამართება სხვადასხვა ორგანოში;
- სასამართლოს პოზიცია – ყველა ად-მინისტრაციულ დაგვაზე სასამართლო წყვეტდა საქმის განხილვას დავის სა-გნის არარსებობის გამო;
- გაუმჯორვალობა – პარლამენ-ტის მშენებლობაზე დახარჯული 73,775,300 ლარი განიკარგა აბსოლუ-ტურად ბუნდოვნად და, შესაძლოა, კორუფციულად, რადგანაც თანხების ხარჯვის პროცესის გაუმჯორვალობა ასეთი დასკვნის გაკეთების ლეგი-ტიმურ საფუძველს იძლევა.



#### ჩეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღება

ბოლო წლების განმავლობაში, სხვადასხვა სახის ინფორმაციურული პროექტების განხორციელებაზე, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მასშტაბური მოცულობის ფინანსური სახსრები იქნა გამოყოფილი. ამ მხრივ, თვალშისაცემია ქ. თბილისში, ასევე, ბათუმშა და ქუთაისში ძველი ქალაქ-ის ისტორიული ნაწილების რეაბილიტაციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები.

საიას მიერ მომზადებული კვლევა შეეხება ზემოაღნიშნულ პროცესში ოთხი კონკრეტული არასამენარმეო არაკომერციული იურიდიული პირის მიერ განხორციელებულ საქმიანობას. ქ. თბილისის მაგალითზე, ესენია: ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი“ და ააპ „თბილისის განვითარების ფონდი“. ბათუმის შემთხვევაში – ქ. ბათუმის მერიის მიერ დაფუძნებული ააიპ „ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდი“, ხოლო ქუთაისის შემთხვევაში – ქ. ქუთაისის მერიის მიერ დაფუძნებული ააიპ „ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი“.

კვლევამ აჩვენა, რომ ქ. თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული ფონდებისთვის გადარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია მოკლებულია გამჭვირვალობას. შესაბამისად, პრაქტიკულად შეუძლებელია იმის დადგენა, კონკრეტულად რომელი ღონისძიებები ფინანსდებოდა მიღებული თანხებით და რა პრინციპით ხდებოდა როგორც შესასრულებელი სამუშაოების, ასევე შემსრულებელი კომპანიების შერჩევა. აღსანიშნავია, რომ მთლიანობაში ფონდების მიერ 2005-2011 წლებში მიღებული და გახარჯული თანხების ჯამურმა მოცულობამ მინიმუმ 288,434,800 ლარი შეადგინა.



ზემოხსენებული ფონდების მიერ ქ. თბილისის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსები სამუშაოები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის გვერდის ავლით ხორციელდებოდა. ქ. ბათუმის და ქ. ქუთაისის მერიების მიერ დაფუძნებული ფონდების მიერ არ სრულდებოდა დამფუძნებლების ნინაშე ფონდის საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშების ნარდგენის ვალდებულება.

ქ. თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული თბილისის განვითარების ფონდი დამოუკიდებლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იღებდა



გადაწყვეტილებას დამფუძნებლის მიერ შენატანის სახით საკუთრებაში გადაცემული ქონების გასხვისების შესახებ. ხოლო რიყის ტერიტორიის ჯერ გასხვისებით და შემდეგ უკან გამოსყიდვით, თბილის ბიუჯეტმა ჯამში 15 მილიონ ლარზე მეტი იზარალა.

#### **თვითშეართველი ეპლაჟის – ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გარე განათების სახელმიწოდო შესყიდვის მონიტორინგის ანგარიში**

ანგარიშში დეტალურად არის განხილული ბათუმის მერიის მიერ 2010 წელს გარეგანათების სახელმიწოდო შესყიდვების მიზნით ჩატარებული თითოეული სატენდერო შესყიდვა და ის პროცედურული დარღვევები, რომლებიც სატენდერო კომისიის მხრიდან გამოვლინდა. მთლიანობაში, კვლევაში საუბარია ისეთ დარღვევებზე, როგორიცაა:

- განცხადების გამოქვეყნების კანონით დადგენილი წესის დარღვევა;
- სხვაობა შესყიდვის წინასწარ განსაზღვრულ წლიურ გეგმასა და სატენდერო განცხადებაში მითითებულ ფასებს შორის;
- გართულებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

#### **ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი ინფორმაციის თავისუფლების საკითხებს არეგულირებს. ინფორმაციის თავისუფლების შესახებ აქტის მიღების შემდეგ, საია პერიოდულად აქვეყნებს კვლევებს საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ. თუმცა, ეს ანგარიშში ინფორმაციის თავისუფლების სხვადასხვა ასპექტის მიმოხილვას წარმოადგენდა. 2011 წელს კი საია შეეცადა, ყველა შესაბამისი მონაცემისთვის თავი ერთ დოკუმენტში მოეყარა. ანგარიშში არსებული მონაცემები ასახავს მონიტორინგის სუბიექტებში ინფორმაციის თავისუფლების თვალსაზრისით არსებულ პრობლემებსა და მიღწევებს 2011 წლის პირველი იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- საერთო სასამართლოების მიერ დადგენილი სტანდარტები
- ადმინისტრაციული საჩივრების განხილვის პრაქტიკა
- ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა
- 10 დეკემბრის ანგარიშების წარდგენა
- საჯარო ინფორმაციის რეესტრის წარმოება

მონიტორინგის სუბიექტებს წარმოადგენდნენ: საქართველოს პარლამენტის აპარატი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს მთავრობის კანცელარია, ყველა სამინისტროს ცენტრალური აპარატი, საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოების სისტემა, 5 თვითმმართველი ქალაქი, ცენტრალური საარჩევნო კომისია, კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია და ეროვნული ბანკი.

## საის მონაცილეობა საქანონდებლო პროცესში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საის კვლავ აქტიურად აგრძელებდა თანამშრომლობას ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსთან. ამ დროის მანძილზე საქართველოს პარლამენტიდან სულ 289 კანონპროექტი მივიღეთ. ხშირ შემთხვევაში, პარლამენტის მუშაობის სწრაფი ტემპიდან გამომდინარე, ვერ ვახერხებდით აღნიშნულ ორგანოსთან წერილობით კომუნიკაციას, რის გამოც, ცალკეულ საკითხებზე რეაგირება ორგანიზაციის ვებ-გვერდზე ოფიციალური განცხადებების გამოქვეყნების გზით მოვახდინეთ. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში,

საკომიტეტო მოსმენებზე განსახილველ რიგ საკითხებთან მიმართებით ზეპირად ვაფიქსირებდით ორგანიზაციის პოზიციას. განცხადებებით გამოვეხმაურეთ ისეთ მნიშვნელოვან ინიციატივებს, როგორებიც იყო: ამომრჩევლის მოსყიდვასა და სიების დაზუსტების კომისიის შექმნასთან დაკავშირებული კანონბროექტები, მთავრობის მუშაობის წესში შესატანი ცვლილებები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესატანი უმნიშვნელოვანესი ცვლილებები, იუსტიციის მინისტრის მიერ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესათვის“ საკანონმდებლო აქტებში რედაქციული შესწორებების შეტანის უფლებამოსილების მინიჭების საკითხი და ა.შ. საქართველოს პარლამენტს ნარვუდგინეთ 24 სამართლებრივი დასკვნა, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს რამდენიმე:

1. „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“;
2. „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
3. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;
4. „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი;
5. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;
6. საქართველოს საარჩევნო კოდექსის პროექტი;
7. „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;
8. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“;
9. „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;
10. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“;
11. „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
12. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“;
13. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი;
14. „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.



საიას მიერ წარდგენილი 24 დასკვნიდან 3 სრულად იქნა გათვალისწინებული, 13 – ნაწილობრივ, 8 საერთოდ არ გაუთვალისწინებიათ. აღსანიშნავია, რომ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული დასკვნების მაღლი რიცხვი ძირითადად განპირობებულია ცალკეული დასკვნებით შემოთავაზებული მრავლობითი რეკომენდაციებიდან შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი რეკომენდაციების გაზიარებით.

საქართველოს პარლამენტის მიერ გათვალისწინებულ რეკომენდაციებს შორისაა:

**1. პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილებები.** აღნიშნულ კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, დისციპლინური სახდელის ზომად შემოღებულ იქნა პატიმრისათვის პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღების და გაგზავნის უფლების 3 თვის ვადით შეზღუდვა. საიას ძალისხმევით, აღნიშნული-დან გამონაკლისად განისაზღვრა ისეთი შემთხვევები, როდესაც წერილის ადრესატი ან ადრესანტი სახელმწიფო უწყებები, სახალხო დამცველი, სასამართლო და სხვა ორგანიზაციები არიან.

**2. საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები.**

კანონპროექტის ინიციორებული ვერსიით გათვალისწინებული იყო პარლამენტის წევრთა რაოდენობის 150-დან 190-მდე გაზრდა. აღნიშნულ ინიციატივას საა ენინააღმდეგებოდა, ვინაიდან დაუშვებლად მიიჩნევდა რეფერენდუმზე ხალხის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლას პარლამენტის მიერ. გარდა დასკვნის წარდგენისა, ლობირების პროცესში საია ახორციელებდა სხვა ტიპის აქტივობებსაც. კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვაში აქტიურად მონაბილეობდნენ საიას რეგიონული ოფისების თანამშრომლებიც. დაიგვეგმა კამპანია – „მე ვთქვი 150!“. კამპანიისთვის შეიქმნა ფეისბუქის გვერდიც, სადაც მხარდამჭერებს განვითარდებით მათთვის საინტერესო სხვადასხვა ინფორმაციას. ჩატარდა საჯარო დისკუსია, გაიგზავნა მიმართვა ვენეციის კომისიისათვის. საბოლოოდ, საიას რეკომენდაცია მხედველობაში იქნა მიღებული და პარლამენტის წევრთა რაოდენობაზე დარჩა იგივე.



**3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები.** აღნიშნული კანონპროექტი იყო ძალიან მნიშვნელოვანი და მტკიცნეულ ცვლილებებს ითვალისწინებდა. მასთან დაკავშირებით, საიამ მოახერხა საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება ვებ-გვერდზე განცხადების გამოქვეყნების, წევრებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და შეხვედრის ორგანიზების გზით. საბოლოო ჯამში, კანონპროექტით შემოთავაზებული სიახლეები არ გავრცელდა ადმინისტრაციულ საქმეებზე, კერძოდ: კანცელარიის თანამშრომელს აღარ მიეცა უფლება, უარი თქვას სარჩელის (განცხადების) რეგისტრაციაზე აღნიშნული დოკუმენტის ფოსტით მიღების შემთხვევაშიც. მოსარჩელე არ ხდება ვალდებული, მიანოდოს მოპასუხეს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები. პირველი ინსტანციის სასამართლოს გამოაქვს ხარვეზის შესახებ განჩინება, ნაცვლად მასზე პირდაპირ უარის თქმისა.

**4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილება.** ცვლილებების თავდაპირველი ვერსიით, დანაშაულის ჩადენისას რასობრივი, ენობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივი წარმოადგენდა პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისთვის. „ლგბტ საქართველომ“ და საიამ მიიჩნიეს, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული შეუწყნარებლობის შემთხვევები არასაკმარისია ამ კუთხით არსებული საერთაშორისო სტანდარტების საქართველოს კანონმდებლობაში სრულყოფილად ასახვისათვის. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების ახლებური ფორმულირება, რაც სრულად იქნა გათვალისწინებული. შესაბამისად, სხვა ისეთი მადისკრიმინირებელი ნიშნებით დანაშაულის ჩადენა, როგორიცაა კანის ფერი, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა, პოლიტიკური შეხედულება და სხვა, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაულის დამამდიმებელ გარემობად იქნა მიჩნეული.

## საკანონმდებლო ნივალურებები

საანგარიშო პერიოდის მანძილზე საიამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო წინა-დადებები:

1. შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
2. ანტინარკოტიკული კანონმდებლობის დახვეწის თაობაზე;
3. ადმინისტრაციული პატიმრობის, როგორც სახდელის, მოქმედების შეჩერების თაობაზე;
4. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონსა და სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
5. “must carry”-სა და “must offer”-ის პრინციპების დანერგვის თაობაზე.

## საკანონმდებლო ნივალურება შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანის მიზნით

წინადადება შეეხებოდა შრომითი ხელშეკრულების მოშლისა და შენტყვეტის რეგულაციებს, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა დასაქმებულის უფლებებისა და ინტერესების დაცვას შრომითი ხელშეკრულების მოშლისას. ამასთან, არ შეესაბამებოდა საერთაშორისო აქტებით დადგენილ სტანდარტებს და არ ითვალისწინებდა სხვა ქვეყნების გამოცდილებას შრომითი უფლებების დაცვის სფეროში.

საიას წინადადება შეეხებოდა შრომითი ურთიერთობის შეჩერების, შეწყვეტისა და მოშლის საკითხების ახლებურ რეგულირებას, ზემოთ მითითებული ყველა საკითხის გათვალისწინებით. მიუხედავად წინადადების განხილვისათვის დადგენილი ვადების ამონურვისა, დღევანდელი მდგომარეობით, საკანონმდებლო წინადადება განხილული არ არის.

## საკანონმდებლო ნივალურება ანტიარკოტიკული კანონმდებლობის დახვენის თაობაზე

საკანონმდებლო წინადადების შემუშავების მიზეზს წარმოადგენდა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ხარვეზები. მოქმედი კანონმდებლობით, ნარკოტიკული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები-სათვის სხვადასხვა სახის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ხდებოდა ავტომატურად და მის შესახებ არ მსჯელობდა სასამართლო. ამასთან, ჩამორთმეული უფლების მოპოვება შესაძლებელი იყო მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ და კანონი მისი ვადამდე აღდგენის მექანიზმს არ ითვალისწინებდა.

საკანონმდებლო წინადადების მიზანს წარმოადგენდა ჩამორთმეული უფლებების შეზღუდვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის მექანიზმის შემოღება და განსაზღვრავდა აღნიშნულზე უფლებამოსილ ორგანოს. პარლამენტის მიერ ინიცირებულ იქნა კანონპროექტი, რომელიც მოიცავდა საიას ერთ-ერთ რეკომენდაციას გადასინჯვის მექანიზმის შემოღების თაობაზე. საიას შეთავაზების საფუძველზე კი, აღნიშნულზე პასუხისმგებელ უწყებად განისაზღვრა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმიღელი მუდმივმოქმედი კომისია. საიას რეკომენდაციების ნაწილის გათვალისწინების შედეგად, გაჩნდა მექანიზმი და შესაძლებლობა, რომ ნარკოტიკული დანაშაულისათვის მსჯავრდებულმა პირებმა ვადაზე ადრე აღიდგინონ ჩამორთმეული უფლებები.

## საკანონმდებლო ნივალურება აღმინისტრაციული კატიონობის, როგორც სახლელის, მოქმედების შეჩერების თაობაზე

საკანონმდებლო წინადადების შემუშავების მიზეზს წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პატიმრობის მარეგულირებელი ნირმები, რომელიც ვერ პასუხობს იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რაც აუცილებელია პირის თავისუფლებაში ამგვარი ინტენსივობით ჩარევისას. ადმინისტრაციული პატიმრობა წარმოადგენს სისხლისამართლებრივი ბუნების მქონე სანქციას, თუმცა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მოქმედი კოდექსი, სამართალდარღვევათა საქმის განხილვისას, პირს ყოველგვარი ადეკვატური სამართლებრივი გარანტიების გარეშე ტოვებს. ეს კი პროცესის თითოეულ ეტაპზე იწვევს პირის ფუნდამენტური უფლებების შეღახვას, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციისა და ევროპული კონვენციის მოთხოვნების იგნორირებას.

საიას მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი წინადადება მიზნად ისახავდა ადმინისტრაციული პატიმ-რობის, როგორც ადმინისტრაციული სახდელის ზომის, გამოყენების შეჩერებას 2013 წლის 1 იანვრამდე, პერიოდამდე როდესაც იგეგმება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროს რეფორ-მის დასრულება. ამ დროისათვის საკანონმდებლო წინადადება განხილული არ არის.

საიას სამართლებრივი დასკენებისა და საკანონმდებლო წინადადებების მოძიება შესაძლებელია მონა-ცემთა ბაზაში, მისამართზე: [www.gyla.ge/legislature](http://www.gyla.ge/legislature)

## საიას საქმიანობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით

### სვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში

2011 წლის მეორე ნახევარში საქართველოს პარლამენტმა აქტიური მუშაობა დაიწყო საარჩევნო კანონ-მდებლობაში ცვლილებების შეტანის მიმართულებით. თავდაპირველად, 2011 წლის სექტემბერში, ინ-იცირებულ იქნა ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტი. აღნიშნული დოკუმენტის პარლამენტში ოფი-ციალურად შეტანა დიდი მოულოდნელობა იყო, რამეთუ მის მომზადებასთან დაკავშირებით არავითარი ინფორმაცია არ გავრცელებულა. საიამ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად პარლამენტს საკუთარი წერილობითი მოსაზრებები ირჯერ – პირველი და მეორე მოსმენების წინ – ოფიციალური განხილვების ფორმატის გათვალისწინებით წარუდგინა. გარდა წერილობითი კომუნიკაციისა, საია აქტიურად იყო ჩართული ზეპირ განხილვებსა და კონსულტაციებში. სამწუხარო, წარდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინება ჩართულობის ხარისხის პროპორციული არ ყოფილა, რის გამოც, აღნიშნულ პროცე-სებში მონაწილეობა უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მაგალითად, საიასა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ წარდგენილი 57 რეკომენდაციიდან საქართველოს პარლამენტმა 12 გაითვალ-ისწინა, 13 – ნაწილობრივ, ხოლო 32 საერთოდ არ გაუთვალისწინებია.

ამასთან, პარლამენტის მიერ გათვალისწინებული და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანი 5 რეკომენდაციიდან 3 სრულად იყო ასახული ძველ კოდექსში, 1 – ნაწილობრივ, 1 – ახალია. ხოლო ის არაერთი რეკომენდაცია, რომლებიც საარჩევნო კოდექსში, საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად, სიახლეების სახით იყო წარმოდგენილი, სამწუხარო, არ იქნა გათვალისწინებული.

### სახელმიწოდებული აუდიტის სამსახური

2011 წლის ბოლოს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, სახელმიწოდო აუდი-ტის სამსახურს პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსების მინიტორინგის უფლებამოსილება მიენ-იჭა. საიამ პოლიტიკური დაფინანსების მიმართულებით სახელმიწოდო აუდიტის სამსახურის ექვსი თვის (2012 წლის იანვარი-ივნისის) საქმიანობა შეისწავლა.

მთელ რიგ შემთხვევებში, ფინანსური მონიტორინგის სამსახური გასცდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული მანდატის ფარგლებს. მონ-იტორინგის სუბიექტების დახმარებისა და დარღვევების პრევენციის ნაცვლად, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა მიმართული იყო ოპოზიციური პარტიების, განსაკუთრებით, მთავარი ოპოზიცი-ური კოალიციის შევიწროებისკენ, რაც აღნიშნული უწყების არსს კატეგორიულად ეწინააღმდეგება. თავდაპირველად, უწყების მხრიდან იკვეთებოდა ერთგვარი ბალანსის დაცვის მცდელობა, თუმცა, მოგვიანებით, მონიტორინგის სამსახური სრულად კონცენტრირდა ერთი კონკრეტული პოლიტიკური ძალის დასჯაზე.

სახელმიწოდო აუდიტის საქმიანობის შესწავლის შედეგად ცხადი გახდა, რომ:

- პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ხშირ შემთხვევაში, არ ეფუძნებოდა სამართლებრივ არგუმენტაციას;
- არ ხდებოდა საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევა და კანონმდებლობის მართებული განმარტება;
- პოლიტიკური პარტიების მიმართ იკვეთებოდა სუბიექტურობა და არათანაბარი მიდგომა.

## კამპანია „ეს შენ გეხება“

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, 2012 წლის დეკემბერში მთავრობის მიერ განხორციელებული ნეგატიური საკანონმდებლო ცვლილებების საწინააღმდეგოდ წამოინყოფილი ფართომასშტაბიანი კამპანია „ეს შენ გეხება“. კამპანია მიზნად ისახავდა იმ საკანონმდებლო რეგულაციების შეცვლას, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავდა კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, აზიანებდა წინასაარჩევნო გარემოს.

კამპანიის საქმიანობა ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა. ერთი მხრივ, ორგანიზაციებმა მოამზადეს საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი და შესაბამისი წინადადებებით მიმართეს საქართველოს პარლამენტს. კამპანიის მეორე მიმართულებას აღნიშნულ პროცესზე მოქალაქეების ინფორმირებულობის გაზრდა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა, რაც მიღწეული იქნა მოქალაქეებთან შეხვედრებისა და სხვადასხვა საინფორმაციო ტექნოლოგიის აქტიური გამოყენების პირობებში. კამპანიას ძალიან მაღლე ასეულობით არასამთავრობო ორგანიზაცია და ათასზე მეტი მოქალაქე შემოუერთდა. კამპანიის მონაწილე ორგანიზაციებმა არაერთი შეხვედრა გამართეს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. პარალელურად, სამუშაო შეხვედრები იმართებოდა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრებთან.

კამპანია „ეს შენ გეხებას“ მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი პირველი საკანონმდებლო წინადადება მიზნად ისახავდა ცვლილებების შეტანას „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონსა და სისხლის სამართლის კოდექსში. მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები ცხადყოფდა, რომ საქართველოს მოქალაქეთა ძალიან დიდ წრეს სრულიად უკანონოდ ეზღუდებოდა გამოხატვის თავისუფლება, საკუთრების უფლება და კონსტიტუციით დაცული სხვა უფლებები და თავისუფლებები. წინადადების მიზანს კი, კანონით დადგენილი ფართო და დაუსაბუთებელი შეზღუდვების შეცვლა წარმომადგენდა. შეთავაზებული ცვლილებების უმეტესი წარმომადგენლების პარლამენტმა გაიზიარა. შედეგად, პოლიტიკური პარტიების საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებს დაუბრუნდა.

კამპანია „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში პარლამენტისათვის წარდგენილი მეორე საკანონმდებლო წინადადება მიზნად ისახავდა საარჩევნო პერიოდში მედია და საარჩევნო გარემოს გაჯანსაღებას. აღნიშნული შეთავაზება გულისხმობდა საკანონმდებლო გარანტიების შექმნას მრავალფეროვანი ინფორმაციის გავრცელების უზრუნველსაყოფად, კერძოდ, „must carry“-ისა და „must offer“-ის პრინციპის დანერგვას, რაც მოიცავს საკაბელო და სატელიტური ოპერატორებისათვის ვალდებულების დაწესებას, გადასცენ სხვადასხვა ტელეკომიანის სიგნალები. ამასთან, აღნიშნულ სუბიექტებს ანიჭებს უფლებას, ტელევიზიებს მათი სიგნალის საკაბელო პაკეტში ჩასმა მოსთხოვონ. სხვადასხვა სუბიექტთან გამართული შეხვედრებისა და ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის შედეგად, პარლამენტმა გაიზიარა შეთავაზებული პრინციპები და უზრუნველყო „must carry“-სა და „must offer“-ის საკანონმდებლო რეგულირება. შედეგად, წინასაარჩევნო პერიოდში საკაბელო და სატელიტური ოპერატორების აბონენტებს ჰქონდათ წვდომა მედია საშუალებების მიერ გავრცელებულ მრავალფეროვან ინფორმაციაზე.



## საარჩევნო პორტალი

საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიზნით, სამი არასამთავრობო ორგანიზაციის: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს ინიციატივით შეიქმნა საარჩევნო პორტალი.

პორტალის მიზანს წარმოადგენს საქართველოში მიმდინარე არჩევნებთან დაკავშირებით, წინასაარჩევნო, არჩევნების დღისა და კენჭისყრის შემდგომ პერიოდში დაფიქსირებული სავარაუდო დარღვევების აღრიცხვა და ინციდენტების რუკაზე მათი განთავსება. პორტალთან ერთად მოქმედებს უფასო სმს ნომერი – 2500 – რომელზეც ინფორმაციის გაგზავნა შეუძლია ხებისმიერ მოქალაქეს ნებისმიერი მობილური ქსელი-დან.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის პორტალზე პარტნიორი ორგანიზაციების მიერ დაფიქსირდა: წინასაარჩევნო პერიოდში – 330, ხოლო კენჭისყრის დღეს – 340 ინციდენტი. არჩევნების პორტალის ვებ-მისამართია: [www.electionportal.ge](http://www.electionportal.ge)



## საარჩევნო აღმინისტრაციის დაქომალეატების მონიტორინგი

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, საუბრო საარჩევნო კომისიების შემადგენლობების შესწავლის მიზნით, საიამ პარტნიორ ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებასთან“ ერთად საქართველოს 73 საარჩევნო ოლქში განახორციელა ერთობლივი პროექტი – „საარჩევნო აღმინისტრაციის დაკომპლექტების მონიტორინგი.“

საარჩევნო აღმინისტრაციების დაკომპლექტების მონიტორინგი რამდენიმე კომპონენტით განხორციელდა. კერძოდ: პირველ ეტაპზე ორგანიზაციებმა შეისწავლეს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის შექმნილ საუბრო საარჩევნო კომისიებში არჩეულ იქნენ თუ არა 2010 წლის არჩევნებზე დასციპლინური/აღმინისტრაციული სახდელდადებული პირები. მართალია, აღნიშნული არ წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას, თუმცა, სახდელდადებული პირების განმეორებით არჩევა შესაძლოა უარყოფითად აისახოს საარჩევნო აღმინისტრაციისადმი ნდობის საკითხზე. მეორე ეტაპზე, საქართველოს მასშტაბით განხორციელდა საუბრო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მონიტორინგი შემთხვევით შერჩეული 396 უბნის მონაცემების საფუძველზე. აღნიშნულ პროცესში ყურადღება გამახვილდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საუბრო საარჩევნო კომისიების ნევრთა საარჩევნო გამოცდილება, კვალიფიკირების დონე და ინტერესთა კონფლიქტი.

პროექტის ბოლო ეტაპზე საიასა და სამართლიანი არჩევნების მიერ განხორციელდა საარჩევნო მოხელეთა ეთიკის კოდექსის შესრულებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის ადეკვატური პასუხისმგებლობის დაკისრების მონიტორინგი.

## წინასაარჩევნო კანკოლი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგს 9 თვის განმავლობაში – 2012 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე რეგიონული ოფისების და 17 მონიტორის მეშვეობით საქართველოს შვიდ რეგიონში – აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და თბილისში ახორციელებდა.

წინასაარჩევნო პერიოდი გამოირჩეოდა მაღალი პოლიტიკური კონკურენციით, დაძაბული ატმოსფეროთი და მრავალრიცხოვანი დარღვევებით. შეიძლება ითქვას, რომ წინასაარჩევნო გარემო იყო მკვეთრად უთანასწორო. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საარჩევნო მარათონში ჩაბმული იყვნენ არა პოლიტიკური პარტიები, არამედ სახელმწიფო და ოპოზიცია. აღნიშნული განპირობებული იყო მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ფუნქციას შორის ზღვრის არარსებობით, რაც თითქმის შეუძლებელს ხდიდა ჯანსაღ პოლიტიკურ კონკურენციას.

წინასაარჩევნო პერიოდში საიას დამკვირვებლები ინფორმაციას სხვადასხვა გზით მოიპოვებდნენ. ხორციელდებოდა საარჩევნო ადმინისტრაციებიდან და სხვა საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხვევნა, ასევე, მასმედიის საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმება. გარდა აღნიშნულისა, საიას წარმომადგენლები პოლიტიკური პარტიების სააგიტაციო შეხვედრებს ესწრებოდნენ. ხშირ შემთხვევაში, მოქალაქეები და პოლიტიკური პარტიის წევრები თავად გვაწოდებდნენ ინფორმაციას წინასაარჩევნო პერიოდში მათ მიერ იდენტიფიცირებული დარღვევების შესახებ. მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, საია დარღვევის ფაქტებს ცესკოში, სასამართლოსა და სამართალდამცავ ორგანოებში ასაჩივრებდა.

საიამ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის 2 ანგარიში გამოაქვეყნა. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნებისათვის გამოყენება;
- სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეთა დევნა, დაშინება, სამსახურიდან გათავისუფლება და ზენოლა;
- ურნალისტების პროფესიული საქმიანობის განხორციელების ხელშეშლა;
- სასამართლოსა და იუსტიციის სამინისტროს მხრიდან, რიგ შემთხვევაში, უკანონო გადაწყვეტილებების გამოტანა.

## არჩევნების დღე

არჩევნების დღეს საიას სადამკვირვებლო მისია თბილისისა და 9 რეგიონის (აჭარის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის) 35 საარჩევნო ოლქების მოიცავდა, ასევე, საზღვარგარეთ გახსნილ საარჩევნო უბნებს შემდეგ ქვეყნებში: აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია და უნგრეთი.

საიას სტატიკური დამკვირვებლები საქართველოს მასშტაბით 195 უბანში იყვნენ განთავსებულნი. მათ დახმარებას უწევდნენ 35 ოლქ-ში მოძრავი მობილური ჯგუფის წევრები. ასევე, ფუნქციონირებდა მედია-ცენტრი და საია, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ნარმომადგენლებთან ერთად, საზოგადოებას პერიოდულად აწოდებდა ინფორმაციას მიმდინარე დარღვევებთან დაკავშირებით.

საოლქო საარჩევნო კომისიებსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩევნების დღიდან შედეგების შეჯამებამდე მუდმივი წესით იმყოფებოდნენ საიას იურისტ-დამკვირვებლები, რომელთა მიერ კენჭისყრის დღეს სულ 147 შენიშვნა/საჩივარი დაფიქსირდა. აქედან:




- უბრის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე – 10 საჩივარი და 40 შენიშვნა;
- კენჭისყრის დაწყებიდან ყუთის გახსნამდე – 59 საჩივარი და 32 შენიშვნა;
- ყუთის გახსნიდან შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე – 6 საჩივარი.

საჩივრების ძირითადი ნაწილი შეეხებოდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ისეთ ფაქტებს, როგორიცაა დამკვიდრებლების ხელშეშლა და ზეწოლა, სამოქალაქო პირთა რეგისტრაცია გამონაკლის უბნებზე, საარჩევნო სიებში არსებული უზუსტობები, განსაკუთრებით კი, საკონსულო აღრიცხვაზე მყოფ პირთა არყოფნა საარჩევნო სიებში, უბნებზე ვიდეო გადაღების უკანონო შეზღუდვა, კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დარღვევები.

#### **არჩევების დღის შემდგომი პერიოდი**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია არჩევნების დღის შემდგომი პროცედურების დაკვირვებას 35 საოლქო საარჩევნო კომისიასა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ახორციელებდა. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, საია შესაბამისი საჩივრებით მიმართავდა საოლქო, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა ან სასამართლოს. საჩივრების წარდგენის დროს განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სამართალდარღვევის ჩამდენი საარჩევნო კომისიის წევრებისთვის დისციპლინური და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შეფარდების საკითხებზე. ასევე, მნიშვნელოვანია საიას საჩივარი ხაშურის №35 საოლქო საარჩევნო კომისიის ათამდე საუბნო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო კანონმდებლობის არაერთ უხეშ დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ხაშურის №35 ოლქის კონკრეტული უბნების შედეგების ბათილობას. აღნიშნული საჩივარი სასამართლომ დააკმაყოფილა და შედეგად, ცესკოს განკარგულებით, 2012 წლის 14 ოქტომბერს განმეორებითი კენჭისყრა დაინიშნა ხაშურის №35 საოლქო საარჩევნო კომისიის №1, №2, №3, №8, №9, №10, №13, №45 და №46 უბნებზე.

#### **სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკარძობლობის ხელშეწყობა საქართველოში**



საა უზრუნველყოფს სასამართლო პროცესების მონიტორინგს სამართლინი სასამართლოს დამკვიდრების ხელშეწყობის, სასამართლო ხელისუფლების რეფორმის განხორციელებისას ეროვნული და საერთაშორისო სამართლის სტანდარტების, ასევე, ადამიანის უფლებათა და სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესრულების დადგენის მიზნით.

საიამ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის სხდომების მონიტორინგის პროექტის პირველი ეტაპი 2011 წლის ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით, ხოლო მეორე ეტაპი – 2012 წლის იანვრიდან აპრილამდე განახორციელა.


მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი განხორციელდა სისხლის სამართლის ძირითადი უფლებებისა და პრინციპების მიხედვით, კერძოდ: საჯარო განხილვის უფლება; მხარეთა თანასწორობა; თარჯიმნის ყოლის უფლება; თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება; დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება; არასათანადო მოპყრობის აკრძალვა. ზემოაღნიშნული პერიოდის (6 თვე) განმავლობაში საია დააკვირდა ჯამში 520 სასამართლო პროცესს.

## მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:



- საქმეთა თითქმის ნახევარში (520 საქმიდან 276 საქმეში) სასამართლომ ვერ უზრუნველყო სა-სამართლო სხდომის დროისა და თარიღის სათანადო გამოქვეყნება.
- მიუხედავად იმისა, რომ სხდომების უმრავლესობაზე იქმნებოდა მხარეთა თანასწორობის შთაბეჭდილება, პირველი წარდგენის სხდომაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები მაინც ადასტურებს მოსამართლეთა არასათანადო ნეიტრალურობას და ბრალდების მიმართ მიკერძოებას. ყველა საქმეზე, რომლებსაც საიადაკვირდა და სადაც პროკურატურამ აღკვე-თის ღონისძიების სახით დაპატიმრება მოითხოვა, სასამართლომ დაკავშირდა შუამდგომ-ლობა და ბრალდებულს დაპატიმრება შეუფარდა. ყველა იმ საქმეში, სადაც პროკურატურამ გირაო მოითხოვა, სასამართლომ შეუფარდა ბრალდებულს გირაო. სასამართლო ძალიან იშ-ვიათად მიმართავდა დასაბუთებას დაპატიმრების შეფარდებისთვის. რაც შეეხება გირაოს, სასამართლომ ბრალდებულს ყველა შემთხვევაში შეუფარდა ზუსტად ის თანხა, რაც პროკუ-რატურამ მოითხოვა.

შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



- 48 სხდომიდან, სადაც მოწმების დაკითხვა მოხდა, 6 შემთხვევაში დაფიქსირდა მოსამართ-ლის მხრიდან მოწმეთა აქტიური დაკითხვა (ერთ-ერთ მოწმეს 37 შეკითხვა დაუსვა);
- 117-ვე წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ დაკავშირდებულია ბრალდების აბსოლუტუ-რად ყველა შუამდგომლობა მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე;
- მონიტორინგმა ასევე გამოავლინა, რომ პროცესის მიმდინარეობისას, ბრალდება, მთლიანო-ბაში, ბევრად უფრო აქტიური იყო, ვიდრე დაცვა. მაგალითად, ყველა წინასასამართლო პრო-ცესზე (117), რომლებსაც საიას მონიტორები აკვირდებოდნენ, ბრალდებამ დააყენა შუამდ-გომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, მაშინ როცა დაცვის მხრიდან მხოლოდ 27 შემთხვევა დაფიქსირდა. გარდა ამისა, დაცვის მხარე ძალიან იშვიათად ეწინააღმდეგებოდა ბრალდების შუამდგომლობებს;
- მოსამართლემ დაკავშირდებულია დაცვის მხოლოდ ის 23 შუამდგომლობა, რომლებსაც ბრალ-დებამ მხარი დაუჭირა. დანარჩენი 4 შუამდგომლობა, რომელთაც ბრალდებამ მხარი არ დაუჭირა, არ დაკავშირდა;
- 113 შემაჯამებელი გადაწყვეტილებიდან არც ერთი ყოფილა გამამართლებელი.

აღნიშნული პერიოდების ამსახველი ანგარიშების პრეზენტაციამდე მონიტორინგის შედეგები გაზი-არებულ იქნა საქართველოს სასამართლო ხელისუფლებისათვის. მათ მიეცათ შესაძლებლობა, ან-გარიშების გასაჯაროებამდე წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებები და პოზიცია.

2012 წლის 14 ივნისს გაიმართა მონიტორინგის ორივე ეტაპის შედეგების პრეზენტაცია, რომელმაც საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან დიდი დაინტერესება გამოიწვია.

## **მონაცილეობა კოალიციაში „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“**

საია წარმოადგენს კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ წევრ ორგანიზაციას და გაერთიანებულია მის რამდენიმე სამუშაო ჯგუფში, მათ შორის: სასამართლოს ადმინისტრირების, იურიდიული განათლების, სისხლის სამართლისა და უფასო იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფებში.

გასული ერთი წლის განმავლობაში კოალიციის ეგიდით და საიას უშუალო მონაწილეობით რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა. 2012 წელს საქართველოს პარლამენტმა არსებითი ცელილებები შეიტანა სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში. აღნიშნულ ცვლილებებს წინ უსწრებდა კოალიციის წევრი ორგანიზაციების, მათ შორის, საიას აქტიური კომუნიკაცია იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან. საიას და კოალიციის სხვა ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მომზადდა კანონპროექტი, რომელიც შეეხებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის გაზრდას, მოსამართლეთა დანიშვნის, მივლინებისა და დისციპლინური სამართლარმოების პროცესის დახვენას. აღნიშნული კანონპროექტი საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის საგაზაფხულო სესიაზე მიიღო.

კოალიციის ფარგლებში, საიას უშუალო მონაწილეობით, ასევე მომზადდა ანგარიში „მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში“, რომელიც აერთიანებს მნიშვნელოვან თემებს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობისთვის. ანგარიშში განხილულია სასამართლოს ადმინისტრირების პროცესში მოსამართლეთა თვითმმართველობისა და ინდივიდუალური მოსამართლის მონაწილეობის, ასევე, ამ პროცესში ძალაუფლების დანაწილების საკითხები და სხვა. აღნიშნული ანგარიშის პრეზენტაციას მიეძღვნა კოალიციის მეხუთე საზოგადოებრივი ფორუმი, რომელიც 2012 წლის 6 ივნისს გაიმართა.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართულებით საია კოალიციის ფარგლებში მუშაობს რამდენიმე პრობლემურ საკითხზე, რომელთა შორის ერთ-ერთია **ალკვეთის ღონისძიებების საკანონმდებლო რეგულირებისა და პრაქტიკის ანალიზი**. ამ პროცესში, კოალიციის სხვა წევრ ორგანიზაციებთან ერთად, საიამ მოამზადა კვლევა, რომელშიც შესწავლილ იქნა როგორც აღკვეთის ღონისძიებების საკანონმდებლო რეგულაციები, ასევე, პრაქტიკაში მათი რეალიზაციის პრობლემები.

## **სავარაუდო კოლეგიური მოგვაცილების მეორე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართლებრცვათა საქმეების ანალიზი**

2011 წლის აგვისტოში საიამ დაიწყო სავარაუდო პოლიტიკური მოტივაციის მქონე საქმეების მონიტორინგის მეორე ფაზა. პროექტის პირველი ფაზა, რომელიც წინა საანგარიშო პერიოდში განხორციელდა, შეეხებოდა ძირითადად 2009 წლის გაზაფხულზე აქციების მიმდინარეობისას და შემდგომ პერიოდში დაკავებულ პირთა საქმეებს. რაც შეეხება მეორე ფაზას, იგი მოიცავს 2011 წლის 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით და მოგვიანებით სავარაუდო პოლიტიკური მოტივით დაკავებულ პირთა სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ საქმეებს.

კვლევისთვის შეირჩა 33 საქმე, აქედან 21 - სისხლის სამართლის და 12 - ადმინისტრაციული სამართლარღვევის. სისხლის სამართლის საქმეებში ბრალდებას წარმოადგენს: წინააღმდეგობა წესრიგის დამცველის მიმართ, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, ნაკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა, შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, ტელე-რადიო მაუწყებლობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-ტარება. რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართლარღვევის საქმეებს, ისინი ძირითადად შეეხება პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადი ბოროტ დაუმორჩილებლობას და წვრილმან ხულიგნობას.

კვლევის მიზანია კონკრეტული საქმის შესწავლა და იმის დადგენა, დაცული იყო თუ არა შესაბამისი საპროცესო და მატერიალური სამართლებრივი ნორმები წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სტადიაზე. კვლევის პრეზენტაცია იგეგმება 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა კვირეულის ფარგლებში.



ქველიდისარი, უნივერსიტეტის  
მანათება და აროვესის განვითარება



## კვალიფიციური, უცყვალი იურიდიული განათლება და კროპის განვითარება

ახალგაზრდა იურისტების პროფესიული დაოსტატება, იურიდიული პროფესიის განვითარება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იურიდიული და სამოქალაქო განათლების სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა იყო და რჩება საიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებად. საია გასულ საანგარიშო პერიოდშიც აქტიურად განაგრძობდა საგანმანათლებლო საქმიანობას ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე. ახალგაზრდებისთვის აღტერნატიული, განგრძობადი, იურიდიული განათლება, სპეციფიკური უნარ-ჩვევების (კონსტრუქციული დეპატი, სასამართლოში იურისტის გამოსვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სამართლებრივი წერის უნარები, იურიდიული დოკუმენტების მომზადების ტექნიკა) განვითარების ხელშეწყობა, მიზნობრივი ტრენინგებისა და საჯარო დისკუსიების ორგანიზება, მუდმივი სიახლეები საინფორმაციო და საგამომცემლო კუთხით – ეს არის იმ აქტივობების ჩამონათვალი, რომლებსაც იურიდიული პროფესიით დაინტერესებულ პირებს საიას იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრი და საიას მიერ დაფუძნებული იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი სთავაზობს.

ფონდი და სასწავლო ცენტრი საანგარიშო პერიოდში შემდეგი მიმართულებით საქმიანობდნენ:

- ყოველწლიური 6 თვითი სასწავლო კურსები თბილისში, სამართლის ყველა მიმართულებით.
- საპარლამენტო დებატების შიდა და ეროვნული ტურნირების უზრუნველყოფა ბათუმის, გორის, ქუთაისის, თელავისა და თბილისის მასშტაბით.
- ოლიმპიადის – „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის“ – ორგანიზება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.
- იმიტირებული სასამართლო პროცესების ორგანიზება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
- სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზება როგორც საიას იურიდიული დახმარების ცენტრის იურისტების, ასევე ადვოკატებისა და ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფისთვის.
- საჯარო დისკუსიების ორგანიზება მნიშვნელოვან სიახლეებსა და პრობლემატურ საკითხებზე.
- იურიდიული სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავება.
- მაგისტრანტი სტუდენტებისთვის რეგიონებში სტიპენდიის პროგრამის ამოქმედება.
- იურიდიული ფონდის გაზრდა უახლესი ლიტერატურით.
- სახელმძღვანელოების გამოცემა.

### ფონდის სასწავლო კურსები

ტრადიციულად, ფონდი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს 6 თვითი სასწავლო კურსების ფუნქციონირებას. 2011-2012 სასწავლო წელს, იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდს სულ 120-მა სტუდენტმა მიმართა, აქედან მხოლოდ 70-ს მიეცა საშუალება, გაევლო სასწავლო კურსები. სტუდენტები 6 თვის განმავლობაში ეუფლებოდნენ ცოდნას შემდეგი მიმართულებით:

- შესავალი სამართალში
- სამოქალაქო სამართალი
- სისხლის სამართალი
- საერთაშორისო სამართალი

სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ საბოლოო გამოცდაზე დაიშვა 50 სტუდენტი.





აქედან მხოლოდ 20-მა დაიმსახურა საიასა და ფონდის ერთობლივი დიპლომი, 23 სტუდენტს გადაეცა სერტიფიკატი, ხოლო 7-მა სტუდენტმა ვერ შეძლო 50%-იანი ბარიერის გადალახვა.

სტუდენტებს, რომლებსაც გადაეცათ დიპლომები, საია და ფონდი ორეკომენდაციებს უწევენ სხვადასხვა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად. გარდა ამისა, ერთი წარმატებული კურსდამთავრებული სტაურებას გადის საიას იურიდიული დახმარების ცენტრში სამოქალაქო სამართლის მიმართულებით.

სასწავლო პროცესის მიწურულს ფონდმა, ტრადიციისამებრ, კვლავ გაუკეთა ორგანიზება **იმიტირებულ სასამართლო პროცესებს** თავისი სტუდენტებისთვის საქართველოს უზენაეს სასამართლოში. პროცესებს აფასებდა ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ მოსამართლეები, ადვოკატები, საჯარო სამსახურის წარმომადგენლები და დარგის სპეციალისტები.

#### ლეგაციების ხელოვნება

ფონდის პრიორიტეტად, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში, კვლავ რჩება იურისტ-სტუდენტების დახელოვნება კონსტრუქციულ დებატებში. საანგარიშო პერიოდში ფონდი თბილისისა და საქართველოს 4 რეგიონის მასშტაბით ორგანიზებას უწევდა დებატების კურსებს, რომლის მეშვეობით, სტუდენტები ეუფლებოდნენ კონსტრუქციული კამათის ხელოვნებას, დებატის კულტურას, სწრაფი აზროვნებისა და აზალიზის უნარის ჩამოყალიბებას, იურიდიულ და გლობალურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებასა და დამუშავებას.

მაისის დასაწყისში ფონდის ორგანიზებით ჩატარდა დებატების შიდა ტურნირები, სადაც გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები და საუკეთესო მოდებატები. მაისის ბოლოს კი, ტრადიციისამებრ, თბილისში ჩატარდა დებატების ეროვნული ტურნირი, სადაც მონაწილეობა მიიღეს გამარჯვებულმა გუნდებმა როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან. მონაწილეები დებატობდნენ შემდეგ პრობლემატურ საკითხებზე: რეფორმები საარჩევნო, განათლების, ეკონომიკისა და სასამართლო სისტემაში.

საუკეთესო მოდებატებსა და გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ სხვადასხვა სახის სამართლებრივი ლიტერატურა და ფასიანი საჩუქრები. წელს ეროვნულ ტურნირში გამარჯვებულად გამოვლინდა იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის შესავალი და სამოქალაქო სამართლის გაერთიანებული გუნდი.



## ოლიმპიადა „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის“

საანგარიშო პერიოდში ბათუმში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერითა და საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობით, გაიმართა ოლიმპიადა – „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის“. ოლიმპიადაში მონაწილეობის სურვილი გამოითქვა 78-მა გუნდმა საქართველოს მასშტაბით. სამწუხაოდ, კვლავ ნაკლები იყო დაინტერესება რეგიონებიდან, განსაკუთრებით – ბათუმიდან. განმცხადებელთა 99%-ს თბილისის სასწავლებლების გუნდები შეადგენდნენ. წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩა 8 გუნდი. 7 გუნდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ხოლო 1 გუნდი – საქართველოს უნივერსიტეტიდან.

9-11 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაიმართა შესარჩევი რაუნდები, ასევე, ნახევარფინალი და ფინალი. იმიტირებულ პროცესებს თავმჯდომარეობდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი მაია კოპალეიშვილი, ხოლო სასამართლო შემადგენლობაში შედიოდნენ დარგის სპეციალისტები და გერმანელი მოსამართლე.



ოლიმპიადა 11 დეკემბერს საზეიმო ვითარებაში დაიხურა. მონაწილეებს სიტყვით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პატუაშვილმა, რომელმაც საკონსტიტუციო სამართლის საუკეთესო მცოდნება, თბილისის ივ. ჯავახიშვილს სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის მონაწილეს, გადასცა საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციალური პრიზი – 6 თვიანი ანაზღაურებადი სტაუირება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. იმავე მონაწილემ დაიმსახურა დონორის – IRZ-ის სიმპათია და 2012 წლის ზაფხულში 1 კვირით საქართველოს დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა გერმანიაში, ბონში, სადაც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ოფიციალურ დაწესებულებაში დაგეგმილ შეხვედრებში.

ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, ხოლო საუკეთესო მობასუხეს ტიტული დაიმსახურა საქართველოს უნივერსიტეტის გუნდის მონაწილემ. ოლიმპიადის ყველა მონაწილეს საიას, საკონსტიტუციო სასამართლოსა და IRZ-სგან საჩუქრად გადაეცა სამართლებრივი ლიტერატურა და ფასიანი საჩუქრები.

## სამოქალაქო განათლების საქვირაო სკოლა

საანგარიშო პერიოდში იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა, საკვირაო სკოლის სახით, კიდევ ერთ წარმატებულ პროექტს ჩაუყარა საფუძველი. საკვირაო სკოლა ფუნქციონირებდა თბილისში, ბათუმშა და ქუთაისში. მოსწავლეებს პრაქტიკული სამართლისა და სამოქალაქო განათლების საკითხებზე ლექცია-სემინარებს უკითხავდნენ პროფესიონალი იურისტები და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

ფონდის ორგანიზებით, თბილისის საკვირაო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ სახალხო დამცველის ოფისს, სამოქალაქო რეესტრს, იუსტიციის სამინისტროს, უზენაეს სასამართლოს, საქართველოს პარლამენტს. მათ შესაძლებლობა მიეცათ, დეტალურად გასცნობოდნენ ზემოაღნიშნული ორგანიზაციების მუშაობას. კურსის დასასრულ საკვირაო სკოლის მსმენლებს იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის სერტიფიკატები გადაეცათ.

**განსხვავებული ფორმატით მიმდინარეობდა სკოლის მოსწავლეებთან ურთიერთობა კახეთისა და შიდა ქართლის მასშტაბით. კახეთში იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი, „სამოქალაქო განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრთან“ ერთად, ორგანიზებას უნევდა დებატების ტურნირს სკოლის მოსწავლებისათვის. აღნიშნულ ცენტრში გაერთიანებულია კახეთის რვაცე მუნიციპალიტეტის სკოლები და მათ ბაზაზე ჩამოყალიბებულია განათლების კლუბი. ფონდმა სწორედ ამ კლუბის 59 სკოლის გუნდებს შორის ჩატარა დებატების შესარჩევი ტურნირი შემდეგ თემებზე:**

- ბავშვთა უფლებები
- სასკოლო გამოცდები
- ეროვნული გამოცდები
- მანდატურის ინსტიტუტი სკოლებში

დებატების შედეგად, თითო მუნიციპალიტეტის სკოლებიდან ერთი საუკეთესო მოდებატე გუნდი გამოვლინდა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს 2012 წლის დეკემბერში კახეთის რეგიონულ ჩემპიონატში.

2012 წლის იანვრიდან იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი, ორგანიზაცია „ბილიკთან“ ერთად, შიდა ქართლის (გორის, კასპის, ხაშურის) სკოლების მოსწავლეებისათვის ატარებდა სემინარებს პრაქტიკული სამართლის საკითხებსა და დებატებში. სემინარებს ესწრებოდნენ მე-9 – მე-12 კლასის მოსწავლეები, სულ 20 მოსწავლე. 2012 წლის ივნისში გაიმართა შიდა ქართლის ტურნირი დებატ-კლუბის წევრებს შორის. გამარჯვებულმა გუნდმა და საუკეთესო სპიკერებმა დაისვენეს ორგანიზაცია „ბილიკის“ საზაფხულო ბანაკში.

## საჯარო დისკუსიები

საანგარიშო პერიოდში იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი აგრძელებდა ტრადიციას და დაინტერესებულ პირებს ინვევდა პერიოდულ საჯარო დისკუსიებზე. დისკუსიები შეეხებოდა სხვადასხვა პრობლემატურ საკითხსა და სიახლეებს.

ფონდმა საანგარიშო პერიოდში ორგანიზება გაუკეთა შემდეგ საჯარო დისკუსიებს:

- „საქართველოში არსებული რელიგიური უმცირესობების მდგომარეობა და მათთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები“. დისკუსიის



პროცესში განიხილებოდა საქართველოში არსებული რელიგიური უმცირესობების დევნისა და შევიწროების ფაქტები, ასევე, აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზები.

- „**საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი დეპუტატების რაოდენობის 150-დან 190-მდე გაზრდის შესახებ**“. დისკუსიაზე სამუშაო ფორმატში განხილულ იქნა საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებების პროექტი დეპუტატების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით. საკითხი განიხილებოდა 2003 წლის რეფერენდუმის შედეგებთან მიმართებით, რომელმაც პარლამენტის წევრთა რაოდენობა 150 დეპუტატით განსაზღვრა.

## სემინარები და ტრანსჩემა

საია და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი კვლავ აგრძელებს თანამშრომლებისა და ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარებისა და ტრენინგების ჩატარების ტრადიციას სიახლეებსა და პრობლემატურ იურიდიულ საკითხებზე.

**2012 წლის მარტში** საიას იურიდიული დახმარების ცენტრის ადვოკატებისა და კონსულტანტებისათვის ჩატარდა ტრენინგი უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე. სემინარში მონაწილეობა მიიღო საიას 30-მა თანამშრომელმა. ტრენინგზე ექსპერტად მოწვეულ იქნა საჯარო რეესტრის წარმომადგენელი.

2011 წლის აგვისტოში ჩატარდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოზე მომუშავე საიას სტრატეგიული სამართალნარმობის იურისტებისა და სისხლის სამართლის ადვოკატების სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაზე განხილული იქნა მიმდინარე წლის განმავლობაში ადვოკატთა პრაქტიკაში არსებული პრობლემატური საკითხები, მათ შორის, აღკვეთის ლონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება, პატიმართა დაკავების პირობები და სამედიცინო მომსახურება, სამართლიანი სასამართლოს ძირითადი პრინციპები ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით. შეხვედრას ესწრებოდა 20 იურისტი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ორგანიზებით, სისხლის სამართლის ადვოკატებისათვის ჩატარდა 4 იდენტური სემინარი, თემაზე – „არასათანად მოპყრობის საჩივრებთან დაკავშირებული გამოძიების შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან“. სემინარებზე მოწვეულ იყვნენ საქართველოს სახალხო დამცველი და ექსპერტები ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში.

სწავლების ცენტრი, მონაწილეობა შერჩევის თვალსაზრისით, აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და იურიდიული დახმარების სამსახურთან. ოთხივე სემინარში მონაწილეობა მიიღო 135-მა ადვოკატმა. აქედან 20 ადვოკატი წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა ოთხივე ტრენინგის აკრედიტაციის მიზნით მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას და წარმატებით გაიარა აკრედიტაცია. შედეგად, ტრენინგის მონაწილეებს ტრენინგში მონაწილეობა 3 კრედიტად ჩაეთვალათ.

ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერითვე გაიმართა 2 იდენტური ტრენინგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სტუდენტებისათვის, თემაზე – „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები“. ორივე ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 50-მა პირმა.

საანგარიშო პერიოდში, OSCE-ის ფინანსური მხარდაჭერით, ორგანიზება გაუკეთდა 2 ტრენინგს, თემაზე – „ადამიანის უფლებები პაციენტთა მზრუნველობის სფეროში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50-მა პირმა, მათ შორის, მოსამართლეებმა, პროფესიონელებმა, ადვოკატებმა, სამედიცინო დაწესებულებების იურიდიული სამსახურის უფროსებმა, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა. ტრენინგზე ექსპერტებად მოწვეული იყვნენ: ჯანდაცვის ექსპერტი სამედიცინო მომსახურების ხარისხის სფეროში, საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე და ორგანიზაცია „უფლება ჯანმრთელობაზე“ აღმასრულებელი დირექტორი.

ტრენინგზე განხილულ იქნა ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა: ჯანდაცვის პოლიტიკა და ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა; ხარისხიანი ჯანდაცვა, არასათანადო პრაქტიკა და სამედიცინო შეცდომები; ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის ეთიკური და სამართლებრივი რეგულაციის ისტორიული წინაპირობები და თანამედროვე სამედიცინო ეთიკის და ბიოეთიკის ძირითადი პრინციპები; პაციენტთა უფლებები და მათი ასახვა საქართველოს კანონმდებლობაში; ექიმის პროფესიული საქმიანობის სამართლებრივი და ეთიკური რეგულაციების მექანიზმები.

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოს (IREX) პროგრამის „ქართული მედია აძლიერებს დომოკრატიას, ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეების ინფორმირებულობას“ (G-MEDIA) ფინანსური მხარდაჭერით, ორგანიზება გაუკეთდა 10 ტრენინგს უურნალისტებისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით, შემდეგ თემებზე:

- სასამართლო სისტემა და გამჭვირვალობის სტანდარტები
- საკანონმდებლო პროცესი და მონაწილეობა
- ადგილობრივი თვითმმართველობა
- არჩევნები და უურნალისტი
- საქართველოს საგადასახადო სისტემა და გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები



ტრენინგზე განხილულ იქნა თემატიკასთან დაკავშირებული პრობლემები და სიახლეები, სასამართლო პრაქტიკა და უურნალისტების გამოცდილება. **სულ, ათივე ტრენინგში, 250 უურნალისტი მონაწილეობდა.**

### იურიდიული განათლების თანახმადოვა სტანდარტების დამკიდრების ხელშეწყობა

2010 წელს IRZ-ს და GTZ-ის ფინანსური მხარდაჭერით დაწყებული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა იურიდიულ განათლებაში სწავლების მეთოდოლოგიის დახვენასა და გერმანულ სტანდარტთან მიახლოებას, 2011 წელსაც წარმატებით გრძელდებოდა.



საანგარიშო პერიოდში სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ-კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით ქართველი პროფესორ-მასნავლებლების მიერ მომზადდა სწავლების მეთოდოლოგიის 3 სახელმძღვანელო. IRZ-ის ორგანიზებით, ქართველი პროფესორ-მასნავლებლების მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები

კომენტარებისა და შენიშვნებისათვის გადაეცათ გერმანულ პროფესორებს. შენიშვნების დეტალები ავტორებმა განიხილეს მუშა ჯგუფებში, რომლებმიც მონაწილეობდნენ საქართველოში ვიზიტად მყოფი გერმანელი პროფესორები. იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ პროცესებში და უზრუნველყოფა შეხვედრების ორგანიზებას.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სახელმძღვანელოების საბოლოო ტექსტების სრულყოფა, რის შემდეგაც იგეგმება დიდი კონფერენცია ქართველი პროფესორ-მასწავლებლებისა და გერმანელი პროფესორების მონაწილეობით.

#### დასავლეთ საქართველოს სამაგისტრო პროგრამის სტიკები

საანგარიშო პერიოდში იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო 3 წლიანი პროექტის – „დასავლეთ საქართველოს სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტიკები“ – განხორციელება დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქუთაისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ფონდმა ქუთაისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების სამართლის სამაგისტრო პროგრამებიდან კონკურსის წესით შეარჩია 12 მაგისტრანტი, რომლებსაც სამაგისტრო პროგრამის სრულ კურსს უფინანსებს. გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სტუდენტები, თავის მხრივ, ვალდებული არიან შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები, რაც გულისხმობს: სტაურების გავლას საის ქუთაისისა და ბათუმის ფილიალის იურიდიული დახმარების ცენტრებში, საჯარო დისკუსიების ორგანიზებას სხვადასხვა პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით, საკანო-მდებლო წინადადებების მომზადებას, ადგილებზე სამოქალაქო განათლების საკითხო სკოლებისა და ფეხბურთის კლუბების ორგანიზებას ფონდის სახელით და სხვა.

აღნიშნული პროექტი უდავოდ მნიშვნელოვანი წამოწევებაა რეგიონის სტუდენტებისა და სასწავლებებისთვის. წიჭიერ, მაგრამ ფინანსურად შეზღუდულ სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, სწავლა გააგრძელონ სამაგისტრო პროგრამაზე და დაეუფლონ ყველა საჭირო პრაქტიკულ უნარ-ჩვევას. ასევე, პროგრამა მაგისტრანტებს საშუალებას აძლევს, საქმიანობა მათსავე რეგიონში გააგრძელონ. გარდა ამისა, ქუთაისისა და ბათუმის უნივერსიტეტებისთვის ეს არის დამატებითი მოტივაცია სტუდენტებისთვის მაქსიმალურად მაღალი სტანდარტის სწავლებისა და სამაგისტრო პროგრამების შეთავაზების კუთხით, რათა ადგილობრივ ახალგაზრდებს აღნიშნულ სასწავლებლებში სწავლის მეტი ინტერესი გაუჩნდეთ.

წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სტიკებისათვის განვითარდ იყვნენ ჩართული საიას იურიდიული დახმარების ცენტრის მუშაობაში. მათ მიერ განვულ იქნა 498 სამართლებრივი კონსულტაცია და მომზადდა 51 სამართლებრივი დოკუმენტი, გამოთხოვნილ იქნა 12 საჯარო ინფორმაცია. ასევე, დაესწრენ 15 სასამართლო პროცესს და მომზადეს 5 საკანონმდებლო წინადადების პროექტი. მათივე ორგანიზებით ჩატარდა 5 საჯარო დისკუსია თემებზე: საქართველოს ინტეგრაცია ჩრდილოატლანტიკურ აღიანსში, საქართველოს ევროკავშირში განვითარინების პერსპექტივები, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, განრიდება და მედიაცია და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების დადგებითი და უარყოფითი მხარეები. დისკუსიები გაიმართა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში. დისკუსიებს ესწრებოდნენ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ადვოკატები, ხოლო ექსპერტებად მოწვეული იყვნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები. დისკუსიები გაშუქდა მედიითაც.

საანგარიშო პერიოდში სტიკებისათვის განვითარდ იყვნენ საკითხო სკოლისა და ფეხბურთის მსმენელთათვის ჩატარებს 10 სემინარი სხვადასხვა პრობლემატურ საკითხზე, ხოლო თვით სტიკების პროფესიული განვითარების მიზნით, ორგანიზებულ იქნა შემდეგი ტრენინგები:

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პრობლემატური საკითხები;

- სისხლის სამართლის კოდექსის პრობლემატური საკითხები;
- ფასილიტაციის უნარ-ჩვევები და სტრუქტურირებული პრეზენტაცია.


ნარმოდგენილი პროექტი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სრული დატვირთვით ხორციელდებოდა მხოლოდ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმში პროექტი დაიწყო 2012 წლის სექტემბრიდან.

## საინფორმაციო ცენტრი

საიას იურიდიული ბიბლიოთეკა კვლავ რჩება მიმზიდველ ადგილად სტუდენტებისა და იურიდიული ტერიტორიაზე მიმდინარე დაინტერესებული პირებისთვის.

ბიბლიოთეკა ყოველდღიურად საშუალოდ 20-30 მეტიხელს ემსახურება, რომელთა უმეტესობა სხვადასხვა სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი და ფონდის სასწავლო კურსის მსმენელია.

კვლავაც გრძელდება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება უახლესი იურიდიული ლიტერატურით. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში 110 ერთეულით შეიცვლ საიას ბიბლიოთეკის ფონდი შეძენილი და ნაჩუქარი პუბლიკაციებით.



მომხმარებელი სარგებლობს როგორც წიგნის ბინაზე გატანის სერვისით, ასევე, ადგილზე მომსახურებითა და ინტერნეტ-სერვისით. ჩვენს მომხმარებელს შეუძლია, ისარგებლოს პროგრამა კოდექსითაც, რომელიც მუდმივად განახლებადია.

## გამოსხები

საანგარიშო პერიოდში ფონდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს კვლავ წარმოადგენდა მაღალრეიტინგული იურიდიული ლიტერატურის თარგმნა ქართულ ენაზე, ასევე, ქართველი ავტორების ხელშეწყობა მათ მიერ ახალი სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის პროცესში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დღეს არსებული გრიფირებული სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები, სტრუქტურისა და არათანმიმდევრულობის გათვალისწინებით, ვერ უზრუნველყოფს მოზარდის სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას და იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია ლიბერალურ-დემოკრატიულ ლირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების მქონე პიროვნებად ფორმირებისთვის.

საანგარიშო პერიოდში ფონდმა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ-ის) ფინანსური მხარდაჭერით, მუშაობა დაიწყო პრაქტიკული სამართლის სახელმძღვანელოს შექმნაზე სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეთათვის. სახელმძღვანელოს რამდენიმე თანაავტორი ჰყავს და მისი მიზანია, მოსწავლეებს დაეხმაროს საკუთარი მოქალაქეობრივი როლის გაცნობიერებაში, მაღალი სამართლებრივი კულტურისა და კანონისადმი პატივისცემის ჩამოყალიბებაში. სახელმძღვანელო მოიცავს როგორც სამოქალაქო განათლების, ასევე პრაქტიკული სამართლის საკითხებს და მისი გამოცემა იგეგმება 2013 წელს.

საანგარიშო პერიოდში ფონდი კიდევ ერთ სახელმძღვანელოზე მუშაობდა. ეს არის „განათლების სამართალი“ სტუდენტებისათვის, რომლის მიზანია, სტუდენტმა გაიაზროს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები. აგრეთვე,

სახელმძღვანელო სტუდენტს დაქანონის დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების, იურისტი-სათვის აუცილებელი მეთოდების გამოყენებისა და სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარის განვითარებაში.

გარდა სტუდენტებისა, სახელმძღვანელო საინტერესო იქნება განათლების სფეროში დასაქმებული იურისტებისთვისაც. სახელმძღვანელოს გამოცემა იგეგმება 2013 წელს.

### სტაჟირება იურიდიული დასამართლის სამსახურში

იურიდიული პროფესიის განვითარების, ახალგაზრდა იურისტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიონალებად ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს თბილისისა და 7 რეგიონული ოფისის იურიდიული დახმარების ცენტრებს, სადაც დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს კლინიკები იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის.

სტაჟირების პროგრამა, რომელიც უკვე წლებია ხორციელდება საიას იურიდიული დახმარების ცენტრების ბაზაზე, 6 თვის განმავლობაში გრძელდება. სტაჟიროთა შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე. სტაჟირების განმავლობაში სტუდენტები მონაწილეობენ იურიდიული კონსულტაციების გაცემის პროცესში, ცენტრის იურისტების დავალებითა და მეთვალყურეობით ადგენენ სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტს, ეძლევათ საშუალება, ადვოკატთან ერთად დაიცვან მოქალაქეთა ინტერესები სამართლოში, მონაწილეობენ სხვადასხვა სახის ტრენინგებში და ა.შ.

საანგარიშო წლის განმავლობაში საიას იურიდიული დახმარების ცენტრში, თბილისისა და 7 რეგიონული ოფისის მასშტაბით, სულ 80-მდე დამწყებ იურისტს მიეცა სტაჟირების გავლის საშუალება.

## ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2011 წლის 1 ოქტომბერი – 2012 წლის 1 ნოემბერი

საიას ფინანსური ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის მე-18 და მე-19 საერთო კრებებს შორის განვლილ პერიოდს. ამ ხნის განმავლობაში, სხვადასხვა წყაროდან გრანტის, შემოწირულობისა და საწევროს სახით მიღებულია 3,069,485.01 ლარი. აღნიშნული თანხა, მიღების წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

<b>ADRA</b>	12,188.37 ლარი
<b>Australian Embassy</b>	9,330.79 ლარი
<b>British Embassy</b>	10,358.80 ლარი
<b>DRC</b>	381,620.00 ლარი
<b>EWMI</b>	657,834.13 ლარი
<b>FR NGDO</b>	4,360.00 ლარი
<b>ICCN</b>	3,053.83 ლარი
<b>IREX</b>	479,936.20 ლარი
<b>NDI</b>	145,077.45 ლარი
<b>NED</b>	87,776.15 ლარი
<b>OSGF</b>	229,242.51 ლარი
<b>OSI</b>	360,658.08 ლარი
<b>SaferWorld</b>	6,295.17 ლარი
<b>Sida</b>	644,649.72 ლარი
<b>US Embassy</b>	29,561.28 ლარი
<b>WFM-IGP</b>	4,940.64 ლარი

საწევრო შენატანი

1,618.00 ლარი

სხვადასხვა კერძო და იურიდიულ პირთა შემოწირულობა

207.39 ლარი

სხვადასხვა შემოსავლები

776.50 ლარი

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ასოციაციაში არაერთჯერად სამუშაოზე დასაქმებული იყო 172 თანამშრომელი, მათ შორის 92 – რეგიონებში, რომელთა ანაზღაურების საერთო ფონდმა შეადგინა 1,653,741.75 ლარი. ერთჯერადი პონორარი გაიცა 347 პიროვნებაზე – საერთო თანხით 232,692.28 ლარი.

კერძო პირებზე გაცემულ ანაზღაურებებზე, ხელფასებსა და პონორარებზე დაკავებულ იქნა საშემო-სავლო გადასახადი — 396,182.00 ლარი

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის მიერ შეძენილია 69,384.45 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, მათ შორის, სხვადასხვა სახის საოფისე ტექნიკა რეგიონებისთვის – 25,138.21 ლარის ღირებულების.

ამავე პერიოდში შეძენილია საოფისე დანიშნულების სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთი 29,600.11 ლარის ღირებულების, მათ შორის, რეგიონებისთვის – 15,005.34 ლარის ღირებულების.

აღნიშნულ პერიოდში ასოციაციის, როგორც ცენტრალური ოფისის, ასევე რეგიონული ოფისების ბიბლიოთეკებისთვის შეძენილ იქნა 5,110.98 ლარის ღირებულების წიგნები და სხვადასხვა პერიოდული გამოცემა.

ასოციაციის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა სემინარისა და შეხვედრის მოწყობაში, რომლებიც იმართებოდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიხარჯა 117,830.67 ლარი.

ასოციაციის თანამშრომლებისა და წევრების სამივლინებო ხარჯებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 260,464.63 ლარი.

ასოციაციის ოფისების ქირამ შეადგინა 72,215.12 ლარი.

ამავე პერიოდში ორგანიზაციაში გაწეულმა კავშირგაბმულობის ხარჯმა შეადგინა 79,990.66 ლარი, მათ შორის, რეგიონებში — 24,051.33 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან მთლიანად დახარჯულია 2,866,775.83 ლარი. აღნიშნული ხარჯი, წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

<b>ADRA</b>	6,024.15 ლარი
<b>British Embassy</b>	10,409.37 ლარი
<b>DRC</b>	93,268.43 ლარი
<b>EED</b>	197,655.08 ლარი
<b>EHRAC</b>	14,000.32 ლარი
<b>Europe Commission</b>	100,959.55 ლარი
<b>EWMI</b>	613,113.56 ლარი
<b>FR NGDO</b>	4,360.00 ლარი
<b>ICCN</b>	1,143.53 ლარი
<b>IREX</b>	411,581.38 ლარი
<b>MAPT</b>	107,005.33 ლარი
<b>NDI</b>	89,213.56 ლარი
<b>NED</b>	52,010.28 ლარი
<b>OSGF</b>	156,365.51 ლარი
<b>OSI</b>	361,923.37 ლარი
<b>RJI</b>	99,897.65 ლარი
<b>SaferWorld</b>	24,532.53 ლარი
<b>Sida</b>	498,684.91 ლარი
<b>US Embassy</b>	18,259.68 ლარი
<b>WFD</b>	1,567.77 ლარი
<b>WFM-IGP</b>	4,583.03 ლარი

ასოციაციის სახსრები

216.84 ლარი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ორგანიზაციული ბალანსი

2012 წლის 1 ნოემბრის მდგრადი მდგრადი

ნოემბ. 1, 2012

აქტივები

ძირითადი საშუალებები	843 207,68 Lari
სხვა აქტივები	2 000,00 Lari
მიმღინარე აქტივები	
მასალები გაღიზულებები	2 147 746,49 Lari
ფულადი საჩხერები	661 452,56 Lari
მოლიანი მიმღინარე აქტივები	2 809 199,05 Lari
მიმღინარე გაღიზულებები	
სხვა მიმღინარე გაღიზულებები	9 062,65 Lari
მოლიანი მიმღინარე გაღიზულებები	9 062,65 Lari
წინდა მიმღინარე აქტივები	2 800 136,40 Lari
საკუთარი აქტივები	3 645 344,08 Lari
წინდა აქტივები	3 645 344,08 Lari

აღმ. დარექტორი

2. ვლადიმერ გ. გოგიაძე

ბეჭალტერი

3. მიხეილ გ. გოგიაძე



# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მმართველობის ორგანოები

2012 წლის ნოემბრის მდგომარეობით

## გამგეობის ნებრები

თამარ ჩუგოშვილი – თავმჯდომარე  
ბესარიონ ბოხაშვილი – თავმჯდომარის მოადგილე  
ბესარიონ აბაშიძე  
ნინო ბაქაქური  
ეკატერინე გასიტაშვილი  
გიორგი ზედელაშვილი  
თამარ კორძაია  
კახა კოჭორიძე  
ნინო ლეუჟავა  
ნინო ლომჯარია  
გაგი მოსიაშვილი  
გიორგი მშვენიერაძე  
დიანა ულენტი  
ალეკო რუხაძე  
ნინო სუენიძე  
ლელა ტალიური  
თამარ ქალდანი  
გიორგი ჩხეიძე  
ლალი ჩხეტია  
ხათუნა ჭითანავა  
თამარ ხიდაშელი

## აღმასრულებელი დირექტორი ეკატერინე ფოფხაძე

## რეგიონული რეგისტრის ხელმძღვანელები

აქარის ფილიალი – პარმენ ჯალალონია  
ქუთაისის ფილიალი – თამარ ფაჩულია  
რუსთავის ოფისი – ეკატერინე ფავლენიშვილი  
გორის ოფისი – ქეთევან ბებიაშვილი  
თელავის ოფისი – მარებ მგალობლიშვილი  
ოზურგეთის ოფისი – თამაზ ტრაპაიძე  
დუშეთის ოფისი – სერგო ისაშვილი

## საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

### თბილისის ოფისი

ქ. კახიძის ქ. №15, 0102

ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353

ფაქსი: + (995 32) 2923211

ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

### ქუთაისის ოფისი

მ. კოსტავას ქ. №11, 4600

ტელ: + (995 431) 241192

ფაქსი: + (995 431) 214585

ელ-ფოსტა: kutaisi@gyla.ge

### აჭარის ოფისი

ბათუმი, გორგასლის ქ. №89, 6000

ტელ: + (995 422) 276668,

ფაქსი: + (995 422) 222950

ელ-ფოსტა: batumi@gyla.ge

### გორის ოფისი

სტალინის ქ. №19, 1400

ტელ: + (995 370) 272646

ფაქსი: + (995 370) 279842

ელ-ფოსტა: gori@gyla.ge

### რუსთავის ოფისი

ქოსტავას 15 ა/5, 3700

ტელ: + (995 341) 255337

ფაქსი: + (995 341) 240566

ელ-ფოსტა: rustavi@gyla.ge

### თელავის ოფისი

ბარნოვის ქ. №10, 2200

ტელ/ფაქსი: + (995 350) 271371

ელ-ფოსტა: telavi@gyla.ge

### ოზურგეთის ოფისი

გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №25/10, 3500

ტელ/ფაქსი: + (995 496) 273138

ელ-ფოსტა: ozurgeti@gyla.ge

### დუშეთის ოფისი

რუსთაველის ქ. №29, 1810

ტელ: + (995 346) 221554

ფაქსი: + (995 346) 221553

ელ-ფოსტა: dusheti@gyla.ge